

კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание*

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№24

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2015**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი ინდირა ძაგანია
Editor-in-chief Indira Dzagania
Главный редактор Индира Дзагания

რედაქტორები
ლირა გაბუნია
ოლღა პეტრიაშვილი
მარინე ტურავა
ირინე ჯობავა
ირმა ზაქარაია

Editors
Lira Gabunia
Olga Petriashvili
Marina Turava
Irina Jobava
Irma Zakaraia

Редакторы
Ли́ра Габу́ния
Ольга Петриа́швили
Ма́рина Турава
Ирина Джобава
Ирма Зака́рия

**კომპიუტერული
რედაქტირება**

რობერტ მესხი

**Computer
Editing**
Robert Meskhi

**Компьютерное
редактирование**
Роберт Месхи

**პასუხისმგებელი
მდივანი**

ლიანა გვასალია

**Executive
Secretary**
Liana Gvasalia

**Ответственный
секретарь**
Лиана Гвасалия

სარედაქციო საბჭო

ჯონი აფაქიძე (საქართველო), დელვინ ჰარნიში (აშშ), ბილალ დინდარი (თურქეთი), ქემალ აბდულა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), პეტრე კონონენკო (უკრაინა), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდი (საბერძნეთი), ილიას უსთუნური (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოცირიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოტსერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), ქემალ მაკილი-ალიევი (აზერბაიჯანი), ირინა ანდრიუშენკო (უკრაინა), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიტვა), ალექსანდრე გრუშა (ბელორუსია).

Editorial Board

Joni Apakidze (Georgia), Delwyn Harnisch (USA), Billal Dindar (Turkey), Kamal Abdulla (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Peter Kononenko (Ukraine), Gheorghe Popa (Moldova), Iлона Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Azerbaijan), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliēne (Lithuania), Alexander Grusha (Belarus).

Редакционный совет

Джони Апакидзе (Грузия), Делвин Гарнишч (США), Билял Диндар (Турция), Кямал Абдулла (Азербайджан), Эндриу Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Петр Кононенко (Украина), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахая (Грузия), Михаил Богущкий (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Толысбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Азербайджан), Ирина Андриушченко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия).

EAN 9771512 43 6007

ირინა ყრუაშვილი
(საქართველო)

სუბსტანტიური უცხოური (ნასესხები) სუფიქსები გერმანულ ენაში

გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი სისტემა საშუალებას აძლევს უცხოურ მორფემებს, ადვილად დამკვიდრდნენ ენაში. ამის საუკეთესო მაგალითია ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი უცხოური ელემენტია. გერმანულ ენაში ამგვარი სიტყვების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ხდება გერმანული ენის ინტერნაციონალიზაცია. უცხოური ელემენტების გამოყენებით მიღებული სიტყვების რიცხვი ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა. თუ ადრე ისინი მხოლოდ ტექნიკურ და სამეცნიერო ლექსიკაში გვხვდებოდა, დღესდღეობით მათ აქტიურად იყენებენ ზეპირ მეტყველებასა თუ რეკლამებში, ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროში, ხელოვნებასა თუ პოლიტიკაში, პრესისა თუ ტელევიზიის ენაში. მე-20 საუკუნის II ნახევრიდან შეიმჩნევა უცხოური ელემენტების მასიური შემოჭრა გერმანული ენის სიტყვაწარმოებაში. გერმანულ ენაში მოხდა უცხოური აფიქსების იზოლაცია და საგრძნობლად ამაღლდა მათი პროდუქტიული მოხმარება.

უცხოურ ელემენტებში იგულისხმება ძირეული და სიტყვაწარმოებითი მორფემები, რომლებიც ფონემური სტრუქტურის, წარმოთქმის და მართლწერის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ენაში უკვე არსებული კანონზომიერებებისაგან (შდრ. 4, 128). გერმანულ ენაში პროდუქტიული, უცხოური სიტყვაწარმოებითი ელემენტები ძირითადად ლათინური, ბერძნული ან ფრანგული წარმოშობისაა. ისინი მიღებულია ამავე წარმოშობის ნასესხები სიტყვების მორფემატიზირების შედეგად. სიტყვების შესხებასთან ერთად ხდება აგრეთვე სიტყვაწარმოებითი ნიმუშებისა და საშუალებების გადმოღება გერმანულ ენაში და ამ ნიმუშების მიხედვით შემდგომში გერმანულში ახალი სიტყვები წარმოიქმნება. თუმცა უცხოური ელემენტებით სიტყვაწარმოება ძირითადად მაინც გერმანულ ენაში დამკვიდრებული სიტყვაწარმოებითი სტრუქტურებისა და კანონზომიერებების საფუძველზე ხორციელდება (შდრ. 2, 690).

უცხოური სუფიქსები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, როდესაც საუბარია ამა თუ იმ მარკის ან საქონლის სახელწოდებაზე, მაგალითად, -ol სიტხეების აღმნიშვნელ სახელებთან, როგორებიცაა Odol, Lysol, Minol; -tex, რომელიც მომდინარეობს სრული ფორმიდან Textil(ien) და გამოიყენება მასალის/ნივთიერების აღმნიშვნელ სახელებთან: Beltex, Bimtex, Novatex, Wiratex; -tron, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან Elektron და დაერთვის სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ მარკის კომპიუტერულ ტექნიკაზე: Cellatron, Robotron და ა. შ. (3, 68). აგრეთვე ტერმინოლოგიურ სისტემებში ინტენსიურად გამოიყენება მსგავსი ელემენტები, მაგალითად, ლინგვისტიკაში ელემენტი -em (Phonem, Pragmem); მედიცინაში ელემენტი -itis (Bronchitis).

გერმანულ ენაში უცხოური ელემენტების შესწავლა ორი დისციპლინის კვლე-

ვის საგანს წარმოადგენს. ერთი მხრივ, ამ პრობლემატიკით დაკავებულია ლექსიკოლოგია, კერძოდ, მისი ის ნაწილი, რომელიც იკვლევს გერმანულ ენაში ახალი სიტყვების ასიმილაციასა და სესხებას, მეორე მხრივ კი, ის შეადგენს სიტყვაწარმოების შესწავლის ობიექტს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს უკვე თითქმის ყველა სფეროში გვხვდება სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ გერმანული და ნასესხები ელემენტების „ნაზავს“, ანუ შესაძლებელია უცხოური და გერმანული ელემენტების კომბინირება ისე, რომ მივიღოთ ჰიბრიდული წარმონაქმნი. გერმანულ ენაში ჰიბრიდიზაციის შემთხვევები უმეტესად გვხვდება სუბსტანტიურ სფეროში, კერძოდ კი, სუბსტანტიურ დერივატებთან. ამასთან, საყურადღებოა ორი მომენტი: 1) უცხოური ბაზისი და გერმანული სუფიქსი; 2) გერმანული ბაზისი და უცხოური სუფიქსი. როდესაც გერმანული სუფიქსი დაერთვის უცხოურ სიტყვას, ხდება ამ სიტყვის ენაში ინტეგრაცია, ხოლო როდესაც ბაზისი გერმანული სიტყვაა და სუფიქსი უცხოური, მაშინ პირიქით, ეს ახალი სიტყვა იძენს უცხოური სიტყვის შეფერილობას, სწორედ უცხოური სუფიქსის ზეგავლენით ხორციელდება გერმანული საბაზისო ლექსემის „გაუცხოურება“.

ჩვენი განხილვის საგანს სწორედ სუბსტანტიური უცხოური სუფიქსები წარმოადგენს. ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი.

-age სუფიქსი ნასესხებია ფრანგული ენიდან და გვხვდება უსულო არსებით სახელებთან. მხოლოდ რამდენიმე სუბსტანტიური დერივატი გვხვდება ამ სუფიქსით. ისინი შეიძლება ნაწარმოები იყოს როგორც არსებითი სახელისაგან (Bandage – არსებითი სახელისაგან Band, Kartonage, Trikotage), ასევე ზმნისაგან (Stellage – ზმნისაგან stellen, Massage – massieren, ასეთივეა Passage, Sabotage, Spionage).

-alien სუფიქსი (ლათ. -ālia) აწარმოებს არსებით სახელებს, რომლებიც მხოლოდ მრავლობით რიცხვში გვხვდება და აძლევს მათ კრებითი სახელის მნიშვნელობას: მაგალითად, Archivalien, Formalien, Musikalien, Naturalien, Personalien და სხვ. ამასთან არსებით სახელებს გადაჰკრავს ხუმრობის ეფექტი: Fressalien, Schmieralien.

-(i)ade სუფიქსი შემოსულია ბერძნულიდან. იგი გვხვდება მხოლოდ მდებარეობითი სქესის სახელებთან. გამოხატავს ადამიანის მოქმედებას, მდგომარეობას (უარყოფითი შეფერილობით): Hanswurstiade (სიტყვიდან Hanswurst), Münchhausiade (სიტყვიდან Münchhausen). -(i)ade სუფიქსი დაერთვის ზმნებს, რომლებიც ბოლოვდებიან -ieren სუფიქსზე და დერივატები საგნის აღწერილობას, დახასიათებას აღნიშნავენ, მაგალითად, Marinade (“Was zum Marinieren dient”) – marinieren, Promenade (“Wo man promenieren kann”). ეს სუფიქსი ძირითადად გვხვდება საკუთარ არსებით სახელებთან და ქმნის სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომლებიც სპორტულ ან სახელწოდებო ღონისძიებებში შეჯიბრს გამოხატავენ. მაგალითად, Pamir-Alpiniade, Asiade, Schubertiade, Kaspariade, Spartakiade, Universiade. გვაქვს ასევე არსებითი სახელები, რომლებიც მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავენ: Chapliniade (Horizont 19/80). -(i)ade სუფიქსი ხშირად აწარმოებს ფილმის, თეატრალური წარმოდგენის ან წიგნის დასახელებას: Boccacciade, historische Galoppiade, Köpenickiade.

უარყოფით თვისებას გამოხატავს ბერძნული -ikus სუფიქსით მიღებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. ეს ტრადიცია სათავეს იღებს მე-20 საუკუნის სტუდენტური ჟარგონიდან: Luftikus – “Ein Luftikus ist eine Person, die leichtlebig, windig wie Luft ist” (1, 105), Pfiffikus, Schuftikus, Schwachmatikus, Schreibikus.

-ist (ბერძნ. -istēs, ლათ. -ista) დაერთვის არსებით სახელებს და აწარმოებს დენომინალურ, პიროვნების აღმნიშვნელ სახელებს, რომლებიც გამოხატავენ რაიმე

საქმიანობით დაკავებას: Hornist, Flötist, Lagerist, Blumist. -ist სუფიქსი გვხვდება შესაბამის ჯგუფებში, რომელთაც აქვთ -ismus სუფიქსზე დაბოლოებული შესატყვისი დერივატი. მაგალითად, Terrorist – Terrorismus. მაგრამ ყოველთვის არ არის მსგავსი კონსტრუქციების წარმოება შესაძლებელი, მაგალითად, არ შეიძლება Dogmatist, სამაგიეროდ გვაქვს Dogmatiker, Patriotist – Patriot და სხვ. ზოგჯერ -ist სუფიქსით მიღებული დერივატები წარმოადგენენ იმ პიროვნების აღმნიშვნელ არსებით სახელებს, რომლებიც რაიმე მუსიკალურ საკრავზე უკრავენ. მაგალითად, Cellist, Pianist, Harfenist, Violinist, Lautenist. იშვიათად -ist სუფიქსი დაერთვის ზმნას: Komponist (ზმნიდან komponieren), Publizist (ზმნიდან publizieren).

-ität (ლათ. -itās, -itātis) სუფიქსით ნაწარმოები დეადიექტიური დერივატები ქმნიან დიდ ჯგუფს და გამოხატავენ თვისებას ან მდგომარეობას. -ität დაერთვის ზედსართავ სახელებს, რომლებიც ბოლოვდებიან -abel, -ibel-ზე (Respektabilität, Disponibilität), ასევე -al, -il სუფიქსზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებს (Banalität, Stabilität), გვხვდება -ell-ზე დაბოლოებულ ზედსართავთანაც (მაგრამ -ell დერივატში იცვლება -all-ით: individuell – Individualität, aktuell – Aktualität, provinziell – Provinzialität, sexuell – Sexualität). -ität ასევე დაერთვის -(i)os, -iös და -iv-ზე დაბოლოებულ სიტყვებს (Burschikosität, Religiösität, Naivität, Objektivität). საგანთა აღმნიშვნელი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული: Extremität, Lokalität, Rarität, Spezialität. დესუბსტანტიური დერივატები მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება: Moralität, Quantität. -ität სუფიქსი კონკურენციას უწევს -heit, -(ig)keit სუფიქსებს, ძალიან ხშირად ორივე სუფიქსი დაერთვის ერთსა და იმავე ბაზისს (Absurdität – Absurdheit, Naivität – Naivheit). ამავდროულად ამგვარი წარმონაქმნები უპირისპირდება ანალოგიური მნიშვნელობის გერმანულ სიტყვებს: Illegalität – Ungesetzlichkeit, Stabilität – Festigkeit, Effektivität – Wirksamkeit. -ität ფორმა -i- ხმოვნის გარეშე მხოლოდ შემდეგ კონსტრუქციებში გვხვდება: Fakultät, Majestät, Pietät, Pubertät. მათი ანალიზი ენის სინქრონულ დონეზე ვერ ხერხდება.

-itis სუფიქსი გვხვდება სამედიცინო ტერმინოლოგიაში, მაგალითად, Bronchitis. ის გამოხატავს ავადმყოფობას, ანთებით პროცესს, დაავადების გამწვავებას. სამედიცინო ტერმინოლოგიის ანალოგიურად მოცემული სუფიქსი არსებით სახელს რაღაცისადმი მიდრეკილების მნიშვნელობას ანიჭებს: Telefonitis (მიდრეკილება ტელეფონით საუბრისადმი), Computeritis (კომპიუტერისადმი მიდრეკილება), Dichteritis (გრაფომანია), Berateritis (ვინმესთვის რჩევის მიცემის მიდრეკილება), Rederitis (გადაჭარბებული საუბრისადმი მიდრეკილება).

უახლეს ტენდენციას წარმოადგენს არსებითი სახელების წარმოება -ical სუფიქსის საშუალებით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სიტყვაწარმოებითი ელემენტის დისტრიბუციის ცვლილებასთან, ვინაიდან ინგლისური ენიდან ნასესხები ეს სუფიქსი აღნიშნულ ენაში ზედსართავ დერივატებს აწარმოებს. ამ დროისათვის -ical სუფიქსით ნაწარმოები ჰიბრიდული არსებითი სახელები ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის, მაგრამ გვხვდება ზეპირ მეტყველებასა და პუბლიცისტიკაში: Rührical (რადაც აღმაშფოთებელი), Märchical (თანამედროვე თეატრალური დადგმა, ზღაპრული სიუჟეტის გადამუშავება). როგორც ვხედავთ, ძალიან ხშირად, უცხოურმა სუფიქსებმა გერმანულ ბაზისთან მიერთებისას, შეიძლება დაკარგონ თავიანთი სტილისტიკური შეფერილობა. ნაწარმოები არსებითი სახელები მეტყველებაში გამოიყენება როგორც სახუმარო სიტყვები, რადგან გერმანულ ბაზისთან მიერთებისას ვღებულობთ კომიკურ ეფექტს.

-ante/-ente სუფიქსი დაერთვის -ieren სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებს და ქმნის

მოქმედების აღმნიშვნელ არსებით სახელებს: მაგალითად, Determinante, Konstituente, Tangente და სხვ.

-anz/-enz სუფიქსი (ლათ. -antia, -entia, ფრანგ. -ance, -ence) -ieren-ზე დაბოლოებული ზმნებს დაერთვის და წარმოქმნის დერივატებს ფართო სემანტიკური სპექტრით: Konkurrenz, Existenz, Konferenz, Korrespondenz, Residenz, Tendenz. -anz/-enz სუფიქსით ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები დერივატების ჯგუფი ქმნის დეადიექტიურ დერივატებს, რომლებიც თვისებას ან მდგომარეობას აღნიშნავენ: Arroganz, Effizienz, Kompetenz, Konsequenz. Ambulanz საგნის აღმნიშვნელი დერივატია (7, 272).

-erie (ფრანგ. -erie) სუფიქსი აწარმოებს დესუბსტანტიურ დერივატებს, რომლებიც ადამიანის საქციელზე მიუთითებენ: Clownerie, Scharlatanerie. მსგავსი მნიშვნელობით გვხვდება -erie სუფიქსი ზედსართავულ ბაზისზე დართვით მიღებულ დერივატებთან: Bigotterie, Galanterie, Koketterie. აღნიშნული სუფიქსის სუბსტანტიურ ბაზისზე დართვით მიღებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები კრებით სახელებს გამოხატავენ: Hotellerie, Maschinerie, Drogerie, Parfümerie, Szenerie.

-esse (ფრანგ. -esse, იტალ. -ezza) სუფიქსი აწარმოებს დეადიექტიურ, საგნის თვისების აღმნიშვნელ დერივატებს და კონკურენციას უწევს -heit სუფიქსს: Akkuratesse – Akkuratheit, Delikatesse, Nob(e)lesse.

-ie (ლათ. -ia, ფრანგ. -ie) სუფიქსი დაერთვის პიროვნების აღმნიშვნელ არსებით სახელებს და აწარმოებს კრებითი მნიშვნელობის მქონე სუბსტანტიურ დერივატებს: Aristokratie, Bourgeoisie, Bürokratie. ასევე იგი აწარმოებს დერივატებს, რომლებიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგს აღნიშნავენ: Ökonomie, Philosophie. გვაქვს ასევე სახელმწიფოს მართვის ფორმის აღმნიშვნელი დერივატები: Demokratie, Monarchie.

-iere (ფრანგ. -iere) სუფიქსით ნაწარმოები დერივატები სემანტიკურად ერთმანეთს არ უკავშირდება. მოტივირებულია დერივატი Garderobiere, რომელიც მიღებულია არსებითი სახელისაგან Garderobe, ასევე Sauciere (არსებითი სახელისაგან Sauce). დანარჩენი დერივატების გაანალიზება კი ვერ ხერხდება: დერივატი Portiere არ უკავშირდება არსებით სახელს Portier, ასევე დერივატი Premiere არ უკავშირდება არსებით სახელს Premier(minister).

-ik (ბერძნ. -ica, ლათ. -ica, ფრანგ. -ique) სუფიქსი აბსტრაქტული არსებითი სახელებისგან აწარმოებს კრებით სახელებს, მათში ხშირად ინტერფიქსის სახით გამოიყენება -at-, მაგალითად, Motivik, Problematik, Symbolik, Thematik. შევხვდებით ასევე სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს საბაზისო სიტყვის მცირეოდენი ცვლილებით: Gestik, Methodik, Rhythmik, Metaphorik, Programmatik, Dramatik. -ik აწარმოებს აგრეთვე დერივატებს -ist სუფიქსზე დაბოლოებული პიროვნების აღმნიშვნელი სახელებისაგან: Germanistik, Publizistik, Realistik. ეს სუფიქსი კონკურენციას უწევს -ismus სუფიქსს: Realismus. ერთმანეთის პარალელურად გვხვდება -ik სუფიქსიანი არსებითი სახელები და -isch სუფიქსიანი ზედსართავი სახელები: Drastik – drastisch, Logik – logisch, Politik – politisch, Hektik – hektisch, Polemik – polemisch, Spezifik – spezifisch, Kritik – kritisch, Komik – komisch. გვხვდება აგრეთვე Inform-at-ik/-ation/-ieren.

-ion (ლათ. iō) სუფიქსი -at- ინტერფიქსთან ერთად დაერთვის -ieren სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებს. ხშირად ბაზისი ზმნასა და დერივატთან ორი განსხვავებული ვარიანტის სახით არის წარმოდგენილი: Funktion ← fungieren, Explosion ← explodieren, ასეთივეა Kollision, Division. -at-ion გვხვდება შემდეგ დერივატებში: Deklamation, Delegation, Demonstration, Gestikulation, Variation, Kombination, Konzentration. გერმანულ სიტყვაწარმოებაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც -ion და -ung სუ-

ფიქსებს შორის სემანტიკური განსხვავება სინტაქსურ დიფერენციაციას უკავშირდება: Präzision des Ausdrucks, მაგრამ Präzisierung der Aufgabe. დერივატების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან -ion სუფიქსით ნაწარმოები სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებიც სინქრონულ დონეზე ზმნაზე არ დაიყვანება, მაგრამ რომლებიც თავის მხრივ -ieren-ზე დაბოლოებული ზმნების ბაზისს წარმოადგენენ: Fusion – fusionieren – Fusionierung, Revolution, Subvention. აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები დესუბსტანტიური დერივატები გამოხატავენ პროცესს ან მოვლენას: Exkursion, Sekretion. დეადიექტიური დერივატები გამოხატავენ ადამიანის თვისებას ან მდგომარეობას: diskret – Diskretion, Desparation, Devotion. ეს დერივატები კონკურენციას უწევენ -heit სუფიქსზე დაბოლოებულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს (შდრ. Diskretheit).

-ose (ბერძნ. -iōsis) სუფიქსი აწარმოებს სამედიცინო ტერმინოლოგიის აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს. ამ სუფიქსით ნაწარმოები დერივატები საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე გერმანულ ენაში: Furunkel – Furunkulose, Tuberkel – Tuberkulose, Psyche – Psychose. სამედიცინო ლექსიკას არ მიეკუთვნება აღნიშნულ სუფიქსზე დაბოლოებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია Zellulose, რომელიც თანაარსებობს გერმანულ Zellstoff-თან ერთად.

-ur (ლათ. -ūra), -üre (ფრანგ. -ure) სუფიქსი -at- ინტერფიქსთან ერთად დაერთვის ზმნებს და აწარმოებს სუბსტანტიურ დერივატებს. მაგალითად, broschieren – Broschur, Broschüre, frisieren – Frisur, Glasur, Lasur, Reparatur. დესუბსტანტიური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები კრებით სახელებს აღნიშნავენ: Klaviatur, Lineatur, Muskulatur, Tabulatur, Tastatur.

-an (ლათ. -ānus) სუფიქსი გვხვდება პიროვნების აღმნიშვნელ მხოლოდ ზოგიერთ სახელთან, რომელთა გაანალიზება შეიძლება, საბაზისო სიტყვა არსებითი სახელია: Kastellan – დარაჯი ციხე-სიმაგრეში, სიტყვიდან Kastell “Burg, Schloss“, მსგავსად არის ნაწარმოები შემდეგი დერივატები: Kapellan სიტყვიდან Kapelle, Galan სიტყვიდან Gala “Festkleidung”. სიტყვების Dekan და Kumpan ანალიზი გერმანულ ენაში სინქრონულ დონეზე ვერ ხერხდება.

-and (ლათ. გერუნდივი -nd-us) სუფიქსი აწარმოებს აკადემიური განათლების სფეროში სუბსტანტიურ დერივატებს: Diplomand “ein zu Diplomierender”, Habilitand “ein zu Habilitierender”, Doktorand, Examinand. საეკლესიო ლექსიკაში გვხვდება დერივატი Konfirmand.

-ant ან -ent (ლათ. -ans, -antis, -ens, -entis) სუფიქსი დაერთვის -ieren სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებს და ვლელულობთ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს: dirigieren → Dirigent, ასეთივეა: Dozent, Konsument, Konkurrent, Intrigant, Simulant, Querulant (querulieren “nörgeln”). აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოებ დერივატებს კონკურენციას უწევენ Partizip I-ის გაარსებითებული ფორმები: Gratulant – der Gratulierende, Korrespondent – der Korrespondierende. -ant ან -ent სუფიქსი იშვიათად დაერთვის სუბსტანტიურ ბაზისს: მაგალითად, Asylant, Diversant, Laborant, Musikant. -ant ან -ent სუფიქსით ნაწარმოები დერივატები, რომლებიც პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს არ წარმოადგენენ, გერმანულ ენაში მთლიანად იდიომატიზირებულია და მათი გაანალიზება ვერ ხერხდება, მაგალითად, Konsonant, Kontinent.

-är (ლათ. -ārius, ფრანგ. -aire) სუფიქსი დაერთვის სუბსტანტიურ ბაზისს და აწარმოებს პიროვნების აღმნიშვნელ დერივატებს: Aktionär (სიტყვიდან Aktie), Funktionär, Illusionär, Legionär, Pensionär, Revolutionär, Millionär.

-ast (ბერძნ. -astēs) სუფიქსი არსებით სახელზე დართვით აწარმოებს პიროვნე-

ბის აღმნიშვნელ დერივატებს: *Gymnasium – Gymnasiast*. აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები დერივატების უმეტესობას საბაზისო სიტყვად კონფიქსი აქვს, ამასთან, ელემენტი *-as-* უმეტესად გვხვდება როგორც კონფიქსური საბაზისო სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ამდენად, სუფიქსად ამ შემთხვევაში გვევლინება მხოლოდ *-t: phantas-ie/-t/-tik/-tisch/-terei/-ieren; enthusia/-stisch/-mus/-mieren*.

-eur (ფრანგ. *-eur*) სუფიქსი დაერთვის *-ieren* სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებს და აწარმოებს მოქმედების აღმნიშვნელ სუბსტანტიურ დერივატებს: *Deserteur, Kontrolleur, Hypnotiseur*. იგი ასევე გვხვდება პროფესიის აღმნიშვნელ სახელებთან: *Friseur, Masseur, Monteur, Graveur* და სხვ.

-ier (ლათ. *-ārius*, ფრანგ. *-ier*) სუფიქსი, როგორც წესი, სუბსტანტიურ ბაზისზე დართვით აწარმოებს პიროვნების აღმნიშვნელ დერივატებს. ეს დერივატები წარმოითქმის სამგვარად: 1) ფრანგული ენისათვის დამახასიათებელი წარმოთქმის ფორმის შესაბამისად [iɛ:], როგორცაა დერივატები *Bankier, Hotelier, Rentier*; 2) ზოგიერთი დერივატი გამოითქმის როგორც [i:r] ან როგორც [jɛ:]: *Kanonier, Brigadier*; 3) როდესაც სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში ძირითადი მახვილი *-ar* ინტერფიქსს დაერთვის, ზემოთ ნახსენები სუფიქსი იკითხება როგორც [á:riɛr]: *Parlamentarier, Proletarier, Vegetarier*.

-ismus, -asmus (ბერძნ. *-ismos*) სუფიქსი მე-18 საუკუნიდან დამკვიდრდა გერმანულ და სხვა ევროპულ ენებში. იგი ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი მაღალპროდუქტიული სუფიქსი. მატერი თავის ლექსიკონში ამ სუფიქსით ნაწარმოებ 350 სიტყვაწარმოებით კონსტრუქციას აფიქსირებს (5). აღსანიშნავია, რომ *-ismus, -asmus* სუფიქსი ძირითადად სამეცნიერო ტექსტებში და პრესაში გამოიყენება (შდრ. 7, 279). ხშირ შემთხვევაში ბაზისი არის პიროვნების აღნიშვნა: *Despotismus, Idiotismus, Barbarismus, Patriotismus, Pedantismus, Darwinismus, Epikurismus, Zarismus, Bonapartismus, Kalvinismus, Buddhismus*. განსხვავებული სემანტიკური კლასის არსებითი სახელები წარმოადგენს ბაზისს შემდეგ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში: *Fetischismus, Illusionismus, Kapitalismus, Protektionismus, Reformismus, Revisionismus, Terrorismus, Vulkanismus*. ხშირ შემთხვევაში საბაზისო სიტყვას კონფიქსი წარმოადგენს: *mechan-isch/-ik/-ismus/-istisch, optim-ist/-istisch/-ismus*. დეადიექტიური დერივატების უმრავლესობა ნაწარმოებია *-al* სუფიქსით დაბოლოებულ ზედსართავ სახელზე *-ismus* სუფიქსის დართვით: *Feudalismus, Idealismus, Klerikalismus, Liberalismus, Nationalismus*. *-ismus* სუფიქსი აგრეთვე გვხვდება *-iv* სუფიქსზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებთან: *Aktivismus, Positivismus, Relativismus*. სხვა ბაზისი შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგალითად, *Absolutismus, Humanismus, Separatismus*.

-or (ლათ. *-or*) სუფიქსი დაერთვის ზმნურ ბაზისს და ინტერფიქს *-at-* ან *-it-* ის დახმარებით აწარმოებს მოქმედების აღმნიშვნელ სუბსტანტიურ დერივატებს: *Agitator, Illustrator, Mechanisator, Expeditior*, გვხვდება ხელსაწყოთა დასახელებებიც: *Generator, Isolator, Ventilator*. გამონაკლისს წარმოადგენს არსებითი სახელისაგან ნაწარმოები დერივატები *Aggressor* (სიტყვიდან *Aggression*) და *Inquisitor*.

-al (ლათ. *-ālis*) სუფიქსი გვხვდება დესუბსტანტიურ, კრებითობის აღმნიშვნელ, საშუალო და ასევე მამრობითი სქესის არსებით სახელებთან: *Personal, Material, Choral*.

-ar (ლათ. *-ārius, -ārium*) სუფიქსი დაერთვის არსებით სახელებს და წარმოქმნის პიროვნების აღმნიშვნელ დერივატებს: *Bibliothekar, Missionar*. იგი აწარმოებს ასევე კრებითობის აღმნიშვნელ საშუალო სქესის სახელებს: *Mobilier, Vokabular*. *-ar* სუფიქსის ზმნაზე დართვით მიიღება საგნის აღმნიშვნელი მამრობითი სქესის

Kommentar და საშუალო სქესის Formular.

-at (ლათ. -ātus) სუფიქსი აწარმოებს საშუალო სქესის, პიროვნების აღმნიშვნელ სუბსტანტიურ დერივატებს. როგორც წესი, ეს დერივატები მიანიშნებენ ადამიანის პროფესიაზე ან თანამდებობაზე, ასევე აღნიშნავენ ადგილს ან დაწესებულებას, მაგალითად, Konsulat, Rektorat. ზოგჯერ დაერთვის -i- ინტერფიქსი: Kommissariat, Notariat. ამავე სუფიქსით ნაწარმოები დევერბალური საშუალო სქესის არსებითი სახელები აღნიშნავენ პროცესს: Diktat, Telefonat, Testat. ზოგჯერ ისინი გამოხატავენ შედეგს: Filtrat, Konzentrat. კრებით სახელს წარმოადგენს Proletariat. გამონაკლისია დეადიექტიური დერივატი Internat. იშვიათად გვხვდება მამრობითი სქესის, პიროვნების აღმნიშვნელი დერივატები, მაგალითად, Stipendiat.

-it (ბერძნ. -itos, -itēs, ლათ. -itus) სუფიქსით ნაწარმოები დერივატები ყოველდღიურ ლექსიკაში იშვიათად გვხვდება. -it ძირითადად აწარმოებს პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს: Bandit (სიტყვიდან Bande), Kosmopolit, Hussit, Jemenit, Jesuit. -it სუფიქსით ნაწარმოები საშუალო სქესის დერივატები გვხვდება მხოლოდ მინერალების დასახელებებში: Balkanit (აღმოჩენილია ბალკანეთში). საყოველთაო ლექსიკაში გამოიყენება დერივატი Kolorit (სიტყვიდან kolorieren).

-a-ment, -e-ment (ლათ. -mentum, ფრანგ. -ment) სუფიქსი დაერთვის -ieren სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებს: Fundament (ზმნიდან fundieren), Postament, Traktament. ამ სუფიქსით ნაწარმოები დერივატები აღნიშნავენ პროცესს ან შედეგს: Abonnement (სიტყვიდან abonieren), Avancement, Arrangement, Bombardement, Engagement, Rasonnement. დერივატი Raffinement დეადიექტიურია, იგი ნაწარმოებია პარტიციპისაგან raffiniert, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ზმნიდან raffinieren.

-ar-ium სუფიქსი ლათინური წარმოშობისაა. იგი აწარმოებს ხელოვნურად გაშენებული ადგილის აღმნიშვნელ დესუბსტანტიურ დერივატებს: Delphinarium, Insektarium, Planetarium, Rosarium, Troparium.

-ing სუფიქსი გერმანულში შემოვიდა ინგლისურ სიტყვებთან ერთად: Camping – Camper – campen, Training – trainieren, Shopping – Shop.

გერმანულ ენაში დაფიქსირებულია ერთადერთი უცხოური სუფიქსი, რომელიც ზმნიდან აწარმოებს როგორც მდებარეობითი, ასევე საშუალო სქესის სუბსტანტიურ დერივატებს. ეს სუფიქსია -ee (ფრანგ. -é, -ée). საშუალო სქესის სახელებია: Gelee, Haschee, Renommee, Resümee. მდებარეობითი სქესის დერივატებია: Armee, Odyssee, Livree, Tournée. ამ უკანასკნელთა გაანალიზება გერმანულ ენაში ვერ ხერხდება.

როგორც ვხედავთ, უცხოურ სუფიქსებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. მათ დიდი წვლილი შეაქვთ თანამედროვე გერმანული ენის განვითარების ზოგადი ტენდენციების რეალიზებაში. გერმანულ ენაში უხვად მოიპოვება სუბსტანტიური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებშიც უცხოური სუფიქსებია გამოყენებული. ამგვარი წარმონაქმნები დღეს უკვე მრავლად გვხვდება არა მხოლოდ სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკაში, არამედ ასევე ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში, პრესასა და პუბლიცისტიკაში.

ლიტერატურა:

1. Donalies E. Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. Tübingen. 2005.
2. Duden in 12 Bänden. Die Grammatik. Bd. 4, 7. völlig neu erarb. und erw. Aufl. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich. 2006.
3. Fleischer W., Barz I. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit vom M. Schröder. Tübingen. 1995.
4. Lohde M. Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch. Tübingen. 2006.
5. Mater E. Rückläufiges Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Leipzig. 1970.
6. Neues Grosses Wörterbuch. Fremdwörter. Köln. 2008.
7. Wellmann H. Deutsche Wortbildung. Typen und Tendenzen in der Gegenwartssprache. 2. Hauptteil. Das Substantiv. Düsseldorf. 1975.

Irina Kruashvili ***Substantive Foreign (Acquired) Suffixes in German Language*** **Summary**

During the process of language development the contents, structure and significance of the morphemes do change. These historical changes are very interesting while the analyzing process of a morphemic composition of the lexic of modern German language. Here we can observe a generation of new suffixes on the basis of lending. Some of them do become added to a German base, for example, the acquired suffixes of the nouns -ist, -alien, -tion, etc.

To the acquired, that is, foreign suffixes do belong also such derivative elements that have entered the German language from the side of Latin, Greek, French languages, and have initiated the new word-formative constructions in German. The denomination of persons are formed by means of adding to a verb of the suffixes: -ant, -ent, -eur, -ator, and to a noun – of such of the suffixes: -ist, -ant, -ar, -är. The derivatives with the suffix -ismus have a substantive and adjective basis. They do express some ideologic direction, world-outlook, behavior kind, etc. The desubstantive collective nouns are formed by means of the suffixes: -ie, -erie, -ik, -atik, -atur, -ar, -ariat. The nominations of the processes are obtained while adding to a verb the suffixes: -age, -anz/-enz, -ion. In order to indicate some property, we do use the suffixes: -esse, -erie, -ion, -tät.

In the present article the substantive foreign (acquired) suffixes in the German language are discussed individually, and there are given also the corresponding examples.

Ирина Круашвили ***Субстантивные заимствованные суффиксы в немецком языке*** **Резюме**

В процессе развития языка происходят изменения в составе, структуре и значении морфем. Эти исторические изменения представляют большой интерес при анализе морфемного состава слов современного языка. И в настоящее время наблюдается появление новых суффиксов на основе заимствования. Некоторые из них могут соединяться с немецкими основами, напр., заимствованные суффиксы у существительных -ist, -tion, alien и др.

К заимствованным суффиксам относятся такие деривационные элементы, которые вошли в немецкий язык с латинского, греческого, французского и образуют в немецком языке новые, поддающиеся анализу словообразовательные конструкции. Наименования лиц

образуются от глагола с помощью суффиксов -ant, -ent, -eur, -ator, наименования лиц от существительных образуются с помощью суффиксов -ist, -ant, -ar, -är. Дериваты на -ismus имеют субстантивные и адъективные производящие основы. Они обозначают идеологические направления, мировоззрения, виды поведения и т. п. Отсубстантивные собирательные имена образуются с помощью суффиксов -ie, -erie, -ik, -atik, -atur, -ar, -ariat. Наименования процесса образуются от глагола с помощью суффиксов -age, -anz/-enz, -ion. Наименования качеств и поведения образуются с помощью суффиксов -esse, -erie, -ion, -tät.

В статье в отдельности рассмотрены субстантивные заимствованные суффиксы в немецком языке и приведены соответствующие примеры.

Lilia Trinca
(Moldova)

SPATIAL COORDINATES OF TIME IN ROMANIAN

The worldview includes representations of space and time, memory of the past, as well as the present and future condition of the human being - all creating a set of mental frames which include and determine the individual and the human communities. The temporal experience is one of the relevant key issues likely to develop the basic mental frameworks of a society or of civilization. Space and time - the parameters which determine the world's existence, these two basic ways of hypostasis of human experience - represent a sensitive coverage of social and natural universe and have received universal recognition. They are two "sides" of a society's way of thinking and of living.

Time is a category with a fundamental role in processing and conceptualizing reality. Or, from the cognitive point of view, the reality is not limited only to what exists physically; the "conceptual worlds" built through mental operations are equally real. This construction of the "conceptual world" implies that we impose an organization to our primary experience and to the cognitive structures which have already been processed through the progressive and interactive interpretative procedures. Or, the semantic structures are considered conceptualizations modeled in accordance with the rules imposed by linguistic convention.

Unlike space, time has only one dimension - duration - and so it is irreversible, forever running in one direction, from past through present to future. Over the years, anthropologists, ethnologists, historians have noted that time is not uniform, it does not flow at the same rate for everyone. In every epoch, within every human group time is valued differently according to the level of the specific mental structure and needs. As claimed by Norbert Elias "the notion of time is a social construction, applied to a sum of experiences accumulated over the centuries by members of the same group, every culture being, first of all, a certain experience of time" [apud (5, 22)].

The different conceptualization of the category of time within different languages was the subject of some investigations which, starting from a very rich factual material, sought to emphasize the principles presiding time organization and movement. In addition to the coded information, time contains a heuristic component, designed to "trigger" the action of searching a point which is necessary for the semantic interpretation of temporal movement.

The verbal time is not an instrument used to locate the events in the "objective" time. To be described, one requires specific concepts. It has become axiomatic that *time* is one of those words, whose meaning appears obvious in common use. However, when we try to define it we are faced with a real challenge. In this context, St. Augustine pointed out the following: "What is time? If no one asks me, I know, and if I want to explain it to someone who asks me, I do not know". In fact, when we refer to "time", we can represent it because we mean events, facts which are really ordered in time, in sequence. Regarding the organization of time through language, an essential feature is the establishment of the orientation axis through the act of speaking - a personal act (which occurs within the being), that requires prior observation or perception of events. In this orientation axis, the observer is placed immediately in the center of events through the verbalization act. The temporal orientation axis with a universal value places the ego in the center between two events, making it the present point. Every event is either past or present or future in relation to the universal axis orientation and the tenses do not designate chronological time or "absolute" time, but relative time, seen from the perspective of the speaker and of the time of speaking.

Fundamental axes according to which the language system is organized represent either an infinite straight line or a circle, and man can contemplate time in two directions: 1) looking back,

alias evoking events or 2) projecting thoughts beforehand and anticipating events in such a way. The "distribution" of events involved in the act of observation becomes public through the act of speaking. We note, in this context, the universal character of the "moment of speaking" and the specific character of languages in terms of how the events are placed in relation to it.

Wearing a wristwatch, the western people of the XXIst century use time as a functional element. They consider it a useful tool to measure and quantify their actions, ensuring them maximum efficiency every day. Such a way of considering time, very familiar, since it is practiced spontaneously, is a relatively recent phenomenon. Or, for millennia, the measure of time did not seem to depend on people, but on stars, and as such it was the attribute of church.

We may speak about a paradox: the more a man is convinced that he is the master of time, the more he is convinced that he has tamed it and has integrated it as something evident, the less certain its direction seems to be. What are then the appropriate algebraic symbols to render time?

Time representations constitute the source of different cultural, scientific or religious metaphors. In the ancient world time was evoked as winged beings, having a nimble flight. The linear image of the wire stretched in history between past and future is also known, as well as the allegory of the balance, in which, on the one hand, the past is placed, and on the other hand - the future. Both are maintained in the equilibrium by present¹.

The linguist E. Coşeriu reveals three models for the time that elapses, which is conceived as infinite linearity. Each model claims to correspond to time objectivity from the linguistic point of view:

1) the objective time, presented as a single static line, along which we, the observers, move, or rather, the speaker moves (the moment of speaking), i.e. from past to future (usually in the mentality of the Indo-European people - "from left to right" - time is passing over the landscape motion (moving Ego);

2) the "background" time is represented as a moving line, which comes from the future, goes before us or beside us in the present moment (or at the moment of speaking) and then is lost in the past - time passing motion of an object (moving Time);

3) two lines in a contrary movement: a line of "empty" time, moving from future to past and a line which carries things and events and moves from past to future. [cf. (3, 344)].

The first model is considered the most acceptable: realistic in terms of being intuitive, and immobile - a simple dimension of space. E. Coşeriu has another opinion, according to which "in our languages – the Romance languages (emphasis mine – L.T.) - at least, time is rather a line that moves from future to past: the future is, precisely, time that "is coming towards us" (cf. It. *avvenire*, Fr. *avenir*, sp. *porvenir*, Rom. *viitor*, and It. *l'anno che viene*, *anno venturo*, Sp. *años venideros*, Rom. *anul care vine* etc.) and if we move, we do it in the opposite direction to time: we have our past and our history *back*, and our future *before* us" (2, 216). The presence of the speaker causes "space" division of time: the past - *in the back*, and the future - *ahead, in front*. The speaker moves "together" with past and future divisions. The temporal and the spatial deixis are continuously defined by the person deixis. In other words, they are conditioned by the role of the participants in enunciation.

The notion of time is quantitative (time can be counted and measured), which arises from spatial representation of time, as mentioned by Pierre Chaunu: "We were tempted to shape time according to a spatial model" [apud (9, 59)]. "Time, mentions E.Coşeriu, is understood, in fact, as a

¹ There are of course other models of time. V. Plunghian, for example, identifies: 1) the time-traveller (time passes, flies, does not stand still); 2) the time aggressor (time does not forgive, it does not spare anyone); 3) the time-container (during the discussion, to fill the time with useless discussions, that night, that year, etc.); 4) the time-treasure (to lose time/to value time/ to gain time/to spend time); 5) the time-measure [little time is left, to shorten the time] (11, 158-169).

way of being of space - as a transparent and empty space in which the events occur - or as a dimension of space which has an infinite plan at its basis" (3, 342). From the anthropological perspective, deixis represents a proof of creating a "universe" structured according to the speaker, a universe created through language. The components of the deictic context demonstrate an ego-centered organization, which assumes a zero point having a spatial coordinate – *here* (the speaker's place at the moment of speaking) and a time coordinate – *now* (the moment of speaking).

The role of the spatial axes, especially of the *front/back* orientation, in the semantics of temporal expressions was noted by Fillmore (4, 32). According to the hypothesis of Fillmore, the existing notions of spatial orientation have a universal character in most languages. The lexical units reflect either a *u n i d i r e c t i o n a l* organization – horizontally: the order of events reflects the succession *earlier – later* or a *b i d i r e c t i o n a l* one – horizontally and vertically.

Thus, one can easily notice that in the statement *Success lay behind them, failure lay ahead of them*, the prepositions do not identify spaces, but periods of time before and after the moment of speaking. The situations of overlay, *alias* common phrases, used to encode temporal and spatial information, such as *after, over, before, behind, between, from .. till ...* etc. and interferences are very common. This fact proves a "modeling" of temporal reference according to the spatial reference "in a more general process of modeling the abstract according to the concrete" (7, 326).

The temporal information is often substituted for spatial information and vice versa: Cf. *Am simțit zgomotul acela acum doi kilometri* (literally I felt that noise two kilometers now – I heard that noise from a distance of two kilometers); *Casa unde locuiesc se află la câteva minute de aici* (literally The house where I live is some minutes from here – The house I live in is a few minutes' walk from here).

A place deixis may substitute a time deixis: *Insista că nu l-a sunat, aici l-am prins* (literally He insisted he had not called him, here I caught him)².

One cannot deny the role of "localization" which the deictic expressions of temporality (tenses, adverbs) have. "Unlike the spatial localization, the temporal one is operable only on one axis - on the axis of sequence of events. In such a way one can explain the importance of *front / back* orientation for temporal expressions. This orientation assumes, in addition, the appearance of the speaker, in the case of deictic expressions.

Using the same prepositions to express temporal and spatial information often involves ambiguity in interpretation. The idea of time spatialization may be rendered using spatial prepositions. Cf. *Am adormit spre diminează/către seară* (I fell asleep **towards** morning/evening); Rus. *Мы разошлись под утро* (literally: *We parted under morning. We parted towards morning.*). *Ближе к вечеру ветер переменился* (literally: **Close to** evening the wind changed its direction. *Later in the afternoon the wind changed its direction.*).

A high degree of ambiguity in Romanian is determined, especially, by the temporal or spatial use of the preposition/ prepositional collocation *înaintea / înainte de/cu...* (before). With a temporal meaning, the preposition means "prior to the moment of speaking" (and also to other temporal reference), which would correspond, spatially to the segment that remained *behind / back*. Consequently, the temporal preposition *înainte cu...* (lit. ahead with) *before ...* can be substituted with *în urmă cu...* (lit. back with) ... *ago*. Cf. *Înainte /în urmă /cu doi ani* (two years before/ago). Such a substitution is not possible when using this preposition as one indicating space. Or, spacially, *înaintea* (*before*) indicates the segment situated in front of us (corresponding to temporal posterity). Cf. *Mulți ani înainte!*; *Look forward to seeing you*; *Впереди нас ждет счастливое будущее*.

² E. Coșeriu provides some examples of spatialization of time. Cf. Fr. **le temps où**, Germ. **die Zeit wo**; It. **il tempo in cui** „the time in which”, **l'epoca in cui** „the epoch in which”. The interrogative-relative adverb **when** has the meaning “the moment in which”, “every time when” Cf. It. **quando lo vidi** „when I saw him”, **quando lo vedo** „when I see him” etc. (3, 342).

As a result, a sentence like *A mers înaintea mea* (He went before me), may be interpreted "in front of me" (cf. It. *davanti a me*) or "before I went" (cf. It. *prima di me*). This example confirms the fact that the Romanian preposition *înainte* (before) used temporally refers to the order of a course of events, i.e. precedence in a sequence³.

Since sequence is a feature of events happening in a period of time, it is natural for the order and the time (sequence) to seek a common means of expression. In Romanian the preposition *înainte* (before) may also be used in cases when the events are not related to each other, but to the speaker and to the moment of speaking. For instance, *cu o săptămână înainte* (a week before) can be interpreted as "a week ago" or "a week before" - before a reference, different from the speaker. Therefore the question of how to connect the spatial meaning with the temporal meaning (of succession) remains open. Naturally, we can assume that what is *before* "something" from the point of space occupies this place because from the point of view of time it had got there *earlier* than that "something". But this interpretation is just a speculation. We must mention that language can render the movement of time as movement in space very suggestively. *Anul ce urmează* (the year to follow) and *anul ce vine* (the coming year) designate the same period in two ways, by "metaphors of movement". They "allow us to think about the world as moving in time or about the world as being non-moving and the time going through it" (4, 46).

In order to identify the temporal pattern and the timeline of Romanian people, we carried out an experiment involving 242 young people aged 18-25, having Romanian as their mother tongue. The respondents were asked to answer some questions. For 136 of them the first question was: *Ședința de miercuria viitoare a fost transferată cu două zile înainte. În ce zi a săptămânii va avea loc ea?* (The meeting scheduled for next Wednesday was transferred two days before. What day of the week will it take place?). 106 respondents had a slightly different question (it referred to last week): *Săptămîna trecută ședința planificată pentru miercuri a fost transferată cu două zile înainte. Când a avut loc ședința?* (Last week's meeting, scheduled for Wednesday, was transferred two days before. When did the meeting take place?). We avoided including these questions in the same survey, considering that the respondents could be influenced by the answer to the previous question. We admitted thus the possibility of changing the vector of temporal movement in the present and in the past.

The respondents were students from two universities – Alecu Russo State University of Balti (the Republic of Moldova) and Alexandru Ioan Cuza University of Iasi (Romania). It should be noted that the determining factor for choosing students as respondents in the experiment was that linguistic identity is already formed at the age of 17-25 and the responses reflect the linguistic and cultural competence relevant to the Romanian mentality.

Regarding the current week, 106 Romanian respondents (77.3%) opted for *Monday* as a day of the meeting and only 24 of them (which is 22.6% of the total) chose *Friday*⁴. It follows that most Romanians adopt the non-egocentric model of temporal movement (*moving Time*) and only 22.6% adopt the model *moving Ego*.

For the second survey (referring to last week) the situation is similar: 83 (78.3%) opted for *Monday* and 19 (17.9%) for *Friday*⁵ (see Fig. 1).

³ The statement in question is found in the works of the ancient philosopher Aristotle: "One thing is said to be ahead of others, when their existence string cannot be reversed, in this regard, one is before two" (1, 184).

⁴ We did not take into consideration responses such as on Sunday (2), on Thursday (2) on Monday or Friday - it depends (2).

⁵ We did not take into consideration responses such as it will not take place, next Wednesday, I don't understand, it will definitely take place etc.




Fig.1

We would like to emphasize that no matter who or what moves in relation to events - the Ego or the events in time in relation to the static ego: in both cases Friday will be closer to the observer.

Similar experiments were conducted with Russian and English speakers. It is noteworthy that according to the results, the English have a similar perception of time as the Romanians (*moving Time*), while the Russians prefer the egocentric model (*moving Ego*). [see (12, 82)].




Fig. 2

The next two questions from the questionnaire were the following:

2) *We often say that time runs or flies. In which direction does time move? Reply verbally and indicate by an arrow.*

3) *Winter holidays are coming. From what direction, do you think, are they coming? Reply verbally and indicate by an arrow.*

The answers to these questions can bring light to the issue of the temporal movement vector in Romanian. As has been mentioned earlier in this paper, different peoples associate time with various spatial coordinates. Most peoples consider that time moves on a horizontal axis, which is biologically determined. Thus, man moves to reach his goal along the horizontal axis. Such a linear view was determined by Christianity too, according to which time or life is a journey that we make in order to get salvation.

With regard to the answers given by the respondents regarding the direction of time movement (they were asked to indicate the direction by an arrow as well), we would like to mention their highly heterogeneous character. Most respondents - 160 (65.8%) - interpret time as unidirectional, moving *from left to right* (with explanations like "before", "from beginning to end", "from present to future", "to infinity", "to death" etc.). The reverse direction - *from right to left* - was indicated by 22 respondents (9, 05%). Others mentioned that time is an illusion, so it does not move (8), time moves in all directions simultaneously (depending on where you are wasting it) (13), time does not move, we are those who move (the template Ego moving) (9), time flies, but it does not have a constant direction (indicated by the arrow moving from left to right as well as from right to left) (5). Several respondents said that time flies (zoomorphic metaphor)⁶, indicating the direction from left to right upwards (26) (see Fig. 3). Lack of consistency in the responses to the questionnaire show that time is largely perceived as abstraction, its perception and the perception of its duration being subjective. The interpretation of time certainly has an egocentric character as well. The answers to these questions confirm the hypothesis that Romanian people adopt the model *Time moving*.




Fig. 3

ევროკავშირი წარმოადგენს უნიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას, რომლის წევრმა სახელმწიფოებმაც გადაწყვიტეს, ერთად ემუშავათ მათი კეთილდღეობისა და სტაბილურობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ბევრი ევროპული სახელმწიფოსთვის მთავარ საზრუნავსა და უპირველეს მიზანს წარმოადგენს, უდავოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნისთვის მისი წევრობა უფრო მეტად პრობლემების წყაროა, ვიდრე კეთილდღეობისა და სარგებლის გარანტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ევროკავშირში, მათი ურთიერთობა და ის პრობლემები, რომლებიც ამ სახელმწიფოში სწორედ ევროკავშირის ზეგავლენით წარმოიშვა. ამა თუ იმ ფაქტზე დაყრდნობით, ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკისა თუ ეკონომიკისთვის უმჯობესი იქნება ევროკავშირის გარეთ ყოფნა.

დავიწყოთ იმით, რომ დიდი ბრიტანეთი შთამბეჭდავი ისტორიის მქონე სახელმწიფოა. მასში იმდენად განვითარდა მონარქისტული წყობა, რომ ნებისმიერი ინგლისელის თვითშეგნება მეფის/დედოფლის ცნების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მატერიკისგან დამოუკიდებლად არსებული ქვეყანა ვერ ეგუება ე.წ. „ახალ მსოფლიო წყობას“ (New World Order), რომლის ნაწილიც გახლავთ ევროკავშირი (4). იმ დროს, როდესაც აშკარაა ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებზე სუპრანაციონალური კანონმდებლობის გავლენის ზრდა, ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა, მიგრაციის კონტროლის ფაქტობრივი არარსებობა და ე.წ. „კუნთების გადინების“ დიდი მაჩვენებელი, ისეთი ტრადიციული ქვეყანა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, ამას ნამდვილად ვერ შეეგუება. აღსანიშნავია ბრიტანელების სკეპტიციზმი, რომელიც ახლავს ევროკავშირის ეკონომიკური სფეროდან სხვა სფეროებში „გადაღვრის“ პოლიტიკას. თუკი დამფუძნებლებმა თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების მიზნით შექმნეს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ (ექფგ), მაშინ რატომ უნდა დათმონ სუვერენიტეტის ნაწილი წევრმა ქვეყნებმა?! რა კავშირი აქვს ამას ეკონომიკასა და პოლიტიკასთან?!

უდავოა, რომ დიდი ბრიტანეთი თავს არ უყადრებდა სხვა ევროპულ ქვეყნებს. გვახსოვს ზემოთ ნახსენები ექფგ-ის შექმნისადმი ცინიკური დამოკიდებულება. ამის ხაზგასასმელად პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის ნათქვამიც საკმარისია: „მე მიყვარს საფრანგეთი და ბელგია, მაგრამ ჩვენ ვერ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას, დავიდეთ მათ დონემდე“ (5, 7). ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ თუ ოდესმე მოუწევდა არჩევანის გაკეთება შარლ დე გოლსა და ფრანკლინ რუზველტს შორის, იგი ყოველთვის აირჩევდა ამ უკანასკნელს. მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდშიც ბრიტანეთის ევროკავშირისგან იზოლაცია წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს. ტეტჩერი წინააღმდეგი იყო სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის. იგი ამტკიცებდა, რომ დიდ ბრიტანეთს შეჰქონდა გაცილებით დიდი თანხა ევროკავშირის ბიუჯეტში, ვიდრე სხვა ქვეყნებს. მნიშვნელოვანია ფაქტია ის, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდებოდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ბრიტანეთისთვის კი ეს სულაც არ წარმოადგენ-

და ეკონომიკის ძირითად სექტორს. ასევე, მარგარეტ ტეტჩერის აზრით, დიდი ბრიტანეთი, გადაწყვეტილების მიღების უფლების ევროკავშირისთვის გადაცემით, დამოუკიდებლობას კარგავდა. 1988 წელს მან განაცხადა: „ეროვნულობისთვის ხელის შეშლა და ევროპულ კონგლომერატში ძალის კონცენტრირება მხოლოდ და მხოლოდ საფრთხეს შეუქმნის იმ მიზნებს, რომელთა მიღწევაც ჩვენ გვსურს... ერთობლივი მუშაობა სულაც არ საჭიროებს იმას, რომ ძალა იყოს ცენტრალიზებული ბრიუსელში და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს დანიშნული ბიუროკრატის მიერ“. რთული წარმოსადგენი არაა, რამდენად უჭირს კომპრომისზე წასვლა ევროპულ ქვეყნებთან ასეთ სახელმწიფოს, ამ დროს გადაწყვეტილებების უდიდესი ნაწილი სწორედ ურთიერთდათმობის შედეგად იქნა მიღებული. დღესაც კი, როდესაც XXI საუკუნეში დამოკიდებულება, სავარაუდოდ, უნდა შეცვლილიყო, როგორც კონსერვატორთა, ისე ლიბერლისტთა პარტიამ წინასაარჩევნო აგიტაციის საშუალებად ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება გააჟღერა (6). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი აცხადებს, რომ თუ მისი პარტია 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაიმარჯვებს, რეფერენდუმი 2017 წელს გაიმართება (7). როდესაც ევროპული, განვითარებადი ქვეყნებისთვის ევროკავშირის წევრობა ოცნებად რჩება, კუნძულოვანი ბრიტანეთი დიდი ხანია მის დატოვებაზე ფიქრობს. ცხადია, კონსერვატული ბრიტანეთი ვერ ეგუება ასეთ გლობალურ ცვლილებებს ევროპაში, ეს შეუთანხმებლობა კი უფრო დიდ მასშტაბებს იძენს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი ბრიტანეთი არ უნდა იყოს ევროკავშირის წევრი, გახლავთ ის, რომ დღესდღეობით ევროკავშირის ყველა მოქალაქეს დიდი ბრიტანეთში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება განუსაზღვრელი ვადით აქვს, ხდება მასობრივი გადასახლებები კავშირის შიგნით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან. სოციალურ დახმარებებს მიგრანტები ინგლისელებთან გათანაბრებულები იღებენ. 1980 წელს მიგრანტების რაოდენობა შეადგენდა 10000-ზე ნაკლებს, 1990 წელს ამ მაჩვენებელმა მიაღწია 50000-ს, ხოლო 2014 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი გაიზარდა 226000 ადამიანამდე. 2011 წლის აღწერამ აჩვენა, რომ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები 2.7 მილიონი ადამიანი დაბადებული იყო ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. როდესაც გერმანიასა და საფრანგეთში საბოლოოდ გაიხსნა საზღვრები და შრომითი ბაზრები, პროგნოზირებულ იქნა ის, რომ მიგრანტთა ნაკადი დიდ ბრიტანეთში შემცირდებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა – გასულ წელს ევროკავშირის ქვეყნიდან იქ 124000 ადამიანი ჩავიდა (12). მიგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ალპ მემპეტი აცხადებს: „მთავრობას მოუწევს უფრო მეტი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების აშენება, რათა გაუმკლავდეს ამ პრობლემას, მაშინ როცა სახელმწიფოს გასაფანტი ფული არ გააჩნია“ (9). დღესდღეობით მიგრანტების რაოდენობა ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან იგივეა, რაც მათი შემოდინება არაწევრი ქვეყნიდან, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან მიგრანტები ჩადიან სამუშაოდ, სხვა ქვეყნიდან კი ძირითადად სასწავლებლად. ევროკავშირის მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე ბრიტანეთის მოქალაქეებისა. მიგრაციის სათათბირო კომიტეტის ძირითად ანგარიშში ნაჩვენებია ის, რომ 1997-2013 წლებში ბრიტანელთა რაოდენობა დაბალკვალიფიციური დასაქმების სფეროებში დაეცა 1.1 მილიონი ადამიანით, მაშინ როდესაც უცხოელთა ამგვარი როლი გაიზარდა იმავე რაოდენობით. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მიგრაციამ გამოიწვია ხელფასების შემცირებაც.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აცხადებს: „აუცილებელია მიგრაციის

პოლიტიკის სწორად გატარება. მიმაჩნია, რომ ევროკავშირის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ბრიტანეთში იცხოვროს და იმუშაოს, მაგრამ ეს მსოფლიოში მიღებული ცივილური კონტროლის წესების დაცვით უნდა მოხდეს“. ვინაიდან ეს წესები არ სრულდება, იქმნება უამრავი პრობლემა. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე კი ფაქტია, რომ ევროკავშირი ამ პრობლემების მოგვარებას ან შემცირებას ვერ უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამ დიდი ბრიტანეთის მიერ სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის წარმოება შეზღუდა. მიუხედავად იმ თავისუფლებისა, რომელიც მას გააჩნია წევრ ქვეყნებში პროდუქციის გატანისას (ისეთივე თავისუფლება, როგორიც სხვა ქვეყნებს აქვთ), არსებობს შეზღუდვები არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობაში. ამ საკითხებს ევროკავშირი თავად აგვარებს საკუთარი წესდებითა და პოლიტიკით. დღესდღეობით მიჩნეულია, რომ ბრიტანეთის ეკონომიკური დამოკიდებულება ევროკავშირზე იმდენად დიდია, რომ თამამად შეიძლება მას „სასიცოცხლო მნიშვნელობის“ ვუწოდოთ, მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია ე.წ. BRIC (Brasil, Russia, India, China) ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირის პოტენციალი. დიდმა ბრიტანეთმა რომ ევროკავშირი დატოვოს, მას მიეცემა სრული თავისუფლება, დაიწყოს სრულიად ახალი ურთიერთობა ამ ქვეყნებთან, უპრობლემოდ მიიღოს ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიკური გადაწყვეტილება. ეს მართლაც უდიდესი შესაძლებლობაა, რომ დაიწყოს ახალი „ოქროს ხანა ბრიტანეთის ეკონომიკაში“ (4). ქვეყნის მიერ საერთო ევროპული მოსახლეობისთვის გაღებული დანახარჯები გამოყენებულ იქნება მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობაზე და ის უზარმაზარი გადასახადები ევროკავშირში სწორედ ბრიტანეთის მოსახლეობას მოხმარდება.

აუცილებელია შევეხეთ სავალუტო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი გამოეყო საერთო ევროპულ ვალუტას – ევროს და შეინარჩუნა ფუნტი სტერლინგი, საუბარი ისევ გრძელდება ადგილობრივი ერთეულის ჩანაცვლებაზე. ევროს კურსის ცვალებადობასთან შედარებით, ფუნტი 2008 წლიდან გაცილებით მყარი და სტაბილური ერთეულია, მიუხედავად ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტისა (1). თუკი ბრიტანეთმა ამ საკითხში შეძლო შეენარჩუნებინა სტაბილურობა, შეიძლება ცალსახად ვთქვათ, რომ სხვა სფეროებშიც შეძლებს ამას ევროკავშირის გარეთაც. ამ დროს კი, ბრიტანული Telegraph აქვეყნებს სტატიას სახელწოდებით: „2020 წლიდან ევროკავშირის ყველა წევრმა უნდა მიიღოს ევრო“ (2). ბრიტანეთის ხისტი პოლიტიკის მიუხედავად, ეს პროცესი მაინც მზარდია და შეუქცევადი. ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინააღობის ფონზე, რთულდება დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის ურთიერთობები, რაც აშკარა ანტაგონიზმს იწვევს ქვეყანაში.

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმას, რომ თავისუფალი ვაჭრობა ისეთი ქვეყნისთვის, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა. მოგეხსენებათ, 1960 წელს სწორედ ბრიტანეთის თაოსნობით შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, რომლის უპირველეს მიზანსაც წევრ-სახელმწიფოებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება წარმოადგენდა (14, 7). დიდი ბრიტანეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა იმას, რომ მისი სუვერენიტეტი და პოლიტიკური ინტერესები საფრთხის ქვეშ დამდგარიყო, იგი მხოლოდ ეკონომიკურ კავშირს ამყარებდა ევროპულ სახელმწიფოებთან. თუმცა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ბრიტანეთი მკაცრი რეგულაციების ქვეშ მოექცა და გარკვეული სახით საკუთარ ინტერესებზე უარის თქმაც მოუწია.

დღესდღეობით ვითარება არც თუ ისე სახარბიელოა. ევროსკეპტიკოსები ამ-

ტიციებენ, რომ ევროკავშირის ბაზარი დიდ ბრიტანეთს ძალიან ბევრ რეგულაციას აკისრებს. ბრიტანეთი რომ ევროკავშირის წევრი არ იყოს, მისი ვაჭრობის მანქანებელი არაევროპულ სახელმწიფოებში იქნებოდა ძალიან მაღალი (8). ინგლისელი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები აცნობიერებენ თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობასა და ღირებულებას, თუმცა დღემდე გადაუჭრელია ის საკითხი, თუ ვისთან ვაჭრობას უნდა მიანიჭოს უპირატესობა ბრიტანეთმა: ევროპასთან თუ დანარჩენ მსოფლიოსთან. 2012 წელს ბრიტანეთის შემოსავალმა მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან გადააჭარბა სარგებელს ევროპის სახელმწიფოებიდან (13, 3). უდავოა, რომ დიდი ბრიტანეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმსხვილესი მიმღებია ევროკავშირში. დიდი ნაწილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა მოდის აშშ-დან, რომლის ძირითადი რეციპიენტიც სწორედ ბრიტანეთია. უცხოელი ინვესტორებისთვის მარტივია თანამშრომლობდნენ ისეთ სახელმწიფოსთან, რომელსაც აქვს ძლიერი კაპიტალური ბაზარი და მრავალი ხელმისაწვდომი საწარმო.

არსებობს ბევრი გზა იმისა, რომ ბრიტანეთმა შეინარჩუნოს თავისუფალი ვაჭრობა ევროპაში. შევიცარიასა და ნორვეგიას აქვთ თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, მაგრამ არ არიან წევრები. თუ საბოლოოდ დიდი ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს, იგი გათავისუფლდება მკაცრი რეგულაციებისგან და შეძლებს გაზარდოს ვაჭრობა მსოფლიოს სწრაფად მზარდ ნაწილებში (მაგ., აშშ-ში, ინდოეთში, ბრაზილიაში და ა.შ.) ტარიფების აღმოფხვრითა და სავაჭრო ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით ევროკავშირის შეზღუდვების გარეშე. ბრიტანეთს გააჩნია იმდენად დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომ საკუთარი ძალებით შეუძლია ეფექტური სავაჭრო ურთიერთობების განხორციელება.

ამ თემაზე საუბრისას შეიძლება გაჩნდეს საპირისპირო აზრიც. დიდი ბრიტანეთი, როგორც განვითარებული ქვეყანა, ყოველთვის წარმოადგენდა ევროპას, იდგა საერთო ევროპული უსაფრთხოების სადარაჯოზე (პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მონაწილეობა, ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტი და სხვ.). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის შეიძლება ჩაითვალოს ევროპის განუყოფელ ნაწილად და, მაშასადამე, ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს წევრად. შესაძლოა მისი დატოვება დიდ შეცდომადაც კი ჩაითვალოს. მაგრამ აუცილებელია გავითვალსწინოთ ის იზოლაციონისტური პოლიტიკა, რომელსაც კუნძულოვანი ბრიტანეთი ახორციელებდა წლების განმავლობაში (ისევე, როგორც აშშ ოკეანის მიღმა, რომელიც ტრუმანის დოქტრინით დასრულდა) მატერიკის მიმართ. მისი ძლიერი, სტაბილური ეკონომიკა ყოველთვის აძლევდა ამ პოლიტიკის შენარჩუნების საშუალებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდუსტრიალიზაციის სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი ითვლება, ხოლო ამ პროცესის განვითარებამ წარმოშვა სრულიად ახალი ევროპა – აგრარულიდან ინდუსტრიულამდე. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ქვეყნის პირველობა ზოგადად ინოვაციურ საკითხებში. მართალია, სხვა კუნძულოვანი ქვეყნები, როგორებიცაა მაღტა, კვიპროსი, ირლანდია სრულიად იზიარებენ ევროკავშირის იდეოლოგიას, მაგრამ ბრიტანეთის მაგალითი, მისი მოსახლეობის განწყობა, საუკუნეების მიერ ჩამოყალიბებული მენტალიტეტი, წარსულში იმპერიალისტური პოლიტიკის გადმონაშთები არ ათანაბრებს სხვა ქვეყნებთან. ამას ხაზს უსვამს ზემოთ ნახსენები შიდაეროვნული აზრთა გაორება. მიუხედავად ბრიტანეთის ევროპული ხასიათისა, მისი თავსებადობა ევროკავშირის პრინციპებთან სულ უფრო და უფრო მეტად დგება ეჭვის ქვეშ.

ევროკავშირის სუპრანაციონალური და ზეეროვნული მმართველობის გაუთავებელი მცდელობები, შეტანილი თანხის არაპროპორციული განაწილება და სხვა პრობლემები, მიანიშნებს ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, რომ გაერთიანების გარეთ ყოფნა არ ჩააგდებს არასახარბიელო მდგომარეობა-

ში. პირიქით, იგი უკეთ გააკონტროლებს საკუთარ საზღვრებს, მიგრაციის მანქენებელს და სხვა სფეროებს. ხმამაღლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დიდი ბრიტანეთი არ გახლავთ იმ ქვეყანათაგანი, რომელთათვისაც ევროკავშირის წევრობა ერთადერთი გამოსავალია. გაერთიანებული სამეფოსთვის არა მხოლოდ თვითკმარია ეკონომიკა, არამედ ექსპორტი ყოველთვის დიდ მანქენებელს აღწევდა. ასე რომ, არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ბრიტანეთისთვის დანაკარგი უფრო მეტი იქნება, ვიდრე შემოსავალი, ამ დროს კი რიცხვობრივი მანქენებელი ათეულ მილიარდობით ფუნტს აღწევს.

ამ ყოველივედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ბრიტანეთის და ევროკავშირის ურთიერთობა მეტად რთულია. მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომაა მისი წევრობა პრობლემატური. როგორც ყოფილი იმპერია, დიდი ბრიტანეთი ვერ შეცვლის თავის პოლიტიკურ ინტერესებს, ვერ მიიღებს ევროკავშირის მიერ დადგენილ კანონებს, რომელთაგან ბევრი აშკარა წინააღმდეგობაში მოდის იმ კანონებთან, რომლებზედაც ბრიტანეთის კონსტიტუციაა დაფუძნებული.

ამრიგად, ჩვენი თვალთახედვა ცალსახაა: იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის სხვა წევრი-სახელმწიფოებიდან მასობრივი გადასახლებები მრავალ პრობლემას წარმოშობს დიდ ბრიტანეთში, ეკონომიკური ურთიერთობები უფრო და უფრო რთულდება ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან, თავისუფალი საგაჭრო სივრცე იზღუდება და სუპრანაციონალური კანონმდებლობა ზღუდავს მის სუვერენიტეტს, აშკარაა, რომ ევროკავშირის წევრობა უარყოფითად ისახება ქვეყნის აწმყოზე. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათელყოფს იმას, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის შემადგენლობაში არ უნდა დარჩეს.

ლიტერატურა:

1. Kaletsky Anatole. Why Britain's days as a haven of political, economic stability are numbered. *Reuters* (November). <http://blogs.reuters.com/anatole-kaletsky/2014/11/21/britain-may-turn-into-europes-most-politically-unpredictable-country/> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
2. Lilico Andrew. After 2020, all EU members will have to adopt the euro. *The Telegraph* (July). 2014.
3. <http://www.telegraph.co.uk/finance/economics/10935617/After-2020-all-EU-members-will-have-to-adopt-the-euro.html> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
4. Debatewise. The UK Should Leave the European Union. Home page on-line. <http://debatewise.org/debates/784-the-uk-should-leave-the-european-union/?action=discussion> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
5. ლეონარდი დიკ. ევროკავშირი, თბილისი, 2002. ჯი-სი-აი.
6. Eaton George. Ukip still claim Labour will promise an EU referendum - but what if they're wrong? *NewStatesman* (August). <http://www.newstatesman.com/politics/2014/08/ukip-still-claim-labour-will-promise-eu-referendum-what-if-theyre-wrong> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
7. Oulds Robert. The charade behind a 2017 EU referendum. *The Bruges Group* (December). <http://www.brugesgroup.com/eu/the-charade-behind-a-2017-eu-referendum.html?keyword=23> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
8. Euromove. 2011. Britain and the EU: are there alternatives to membership? Home page on-line. <http://www.euromove.org.uk/index.php?id=6509> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
9. Travis Alan. UK is magnet for highly educated EU migrants, research shows. *The Guardian*

- (November). <http://www.theguardian.com/uk-news/2014/nov/05/uk-magnet-highly-educated-migrants-research> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
10. The Migration Observatory. British and other EU migration. Home page on-line. <http://www.migrationobservatory.ox.ac.uk/britains-70-million-debate/5-british-and-other-eu-migration> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
 11. ტაბულა, 2013. ევროკავშირიდან გასვლის საკითხს დიდი ბრიტანეთი რეფერენდუმით გადაწყვეტს. Home page on-line. <http://www.tabula.ge/ge/story/64396-evrokavshiridan-gasvlis-sakitxs-britaneti-referendumit-gadatskvets> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
 12. MigrationWatchUK. 2014. Latest Immigration Statistics. Home page on-line. <http://www.migrationwatchuk.org/latest-immigration-statistics> ბოლო ნახვა 30 ნოემბერი, 2014.
 13. Springford John, Tilford Simon. 2014. *The Great Britain trade-off: The impact of leaving the EU on the UK's trade and investment*. London: Centre for European Reform.
 14. ჭკელიძე გ., კაპანაძე ს., ევროკავშირის ისტორიული განვითარება, თბ., 2014.

Nestan Jachvliani, Amza Chargazia
Policy of Great Britain in the EU and Some Problems of its Membership
Summary

The European Union is a unique political and economic partnership that enables European countries make closer connections, improve political and economic relations. For most of the countries, the membership of EU is very profitable. However, we can't say the same about Great Britain. The specific nationalism of the United Kingdom, lack of control of migration, economic restrictions and reduced scales for free trade between the UK and non-member countries of EU – these are reasons (and not only) causing problems in the union. So, leaving the European Union will be more profitable for Great Britain than remaining its member.

Нестан Джачвлиани, Амза Чаргазия
Политика Великобритании в Евросоюзе и проблемы его членства
Резюме

Евросоюз – это уникальное политико-экономическое объединение, которое ставит перед собой цель – сблизить европейские страны, улучшить между ними торговые, политические и другие отношения. Для многих стран членство в Евросоюзе приносит большую прибыль, что нельзя сказать о Великобритании. Специфический национализм в Объединенном Королевстве; фактическое отсутствие контроля миграции; экономические ограничения и уменьшенные масштабы свободной торговли со странами не являющимися членом Евросоюза – эти причины (и не только) создают проблемы членства Великобритании в Евросоюзе. Поэтому выход из Союза будет более прибыльным для этой страны, чем оставаться его членом.

ია ხარაზი, ბადრი გორგილაძე
(საქართველო)

ბაუშართლებელი რისკი
(საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების გამო)

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების დანართის „სისხლის პლაზმის, სისხლის ჯგუფების დონორობის სამედიცინო შემოწმების შესახებ“ 24-ე მუხლის თანახმად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირებს, კერძოდ, ჰომოსექსუალებს აკრძალათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა. აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებით, 2012 წლის 11 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა, რომლებმაც სარჩელში მიუთითეს, რომ აღნიშნული ბრძანება არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებს, რომელთა მიხედვითაც, დაცულია ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ჩვენ ვუწოდებთ „ბაუშართლებელ რისკს“. რაში მდგომარეობს საქმის არსი? კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (1), ხოლო მე-16 მუხლი აცხადებს, რომ ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების 24-ე მუხლში სიტყვა „ჰომოსექსუალი“ არაკონსტიტუციურია და არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-14 მუხლს. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მისი გაუქმება, ისინი ასევე მოითხოვდნენ სისხლის დონორობას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩაითვადა, რომ რისკის ფაქტორის შემცველია საზოგადოებისთვის.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ უქმნის ეს გადაწყვეტილება საფრთხეს საქართველოს მოსახლეობის სოცოცხლესა და ჯანმრთელობას? საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის ბრძანების დანართის მიხედვით, ჰომოსექსუალიზმი მიეკუთვნება შიდსის რისკ ჯგუფებს. კვლევების მიხედვით დადასტურებულია, რომ ჰომოსექსუალის სისხლითა და მისი კომპონენტებით დონორობისას იზრდება საფრთხე აივ-ინფექციით და ჰეპატიტით დაავადებისა. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რატომ არიან ჰომოსექსუალები უფრო მეტად საშიშნი დაავადების გადატანისას, ვიდრე სხვა ორიენტაციის ადამიანები.

„ჯო ენის“ ცენტრის სისხლის ბანკის დირექტორმა და ევროსაბჭოს სისხლის უსაფრთხოების ექსპერტთა პერმანენტული კომიტეტის წევრმა განაცხადა, რომ სა-

მედიცინო პრაქტიკაში ტერმინი „ჰომოსექსუალობა“ გაგებულა, როგორც სარისკო სქესობრივი კონტაქტი. პრეტესტირების დროს ექიმი ეკითხება დონორს რისკის შემცველი სქესობრივი ქცევებისა და არა მისი ორიენტაციის შესახებ. სპეციალისტის აზრით, აივ-ვირუსის გადაცემის რისკი იზრდება ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტისას, ვინაიდან ამ დროს ყველაზე მაღალია მიკრო ტრამეების მიღების ალბათობა. ექიმის დასკვნის მიხედვით, დამცავი საშუალებებიც ვერ უზრუნველყოფენ 100%-იან დაცვას.

სანამ ადამიანისაგან სისხლს აიღებენ, ანუ სანამ ის დონორი გახდება, ხდება სისხლისა და მისი კომპონენტების შემოწმება, არის თუ არა ის რამე დაავადების მატარებელი. თუ ეს რეალურად განხორციელებადია, მაშინ რატომ არის საფრთხის შემცველი საზოგადოებისთვის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მატარებლის სისხლი? პროფესორ ლევან ავალიშვილის დასკვნის თანახმად: „პერიოდს ორგანიზმის ინფიცირებიდან ანტისხეულების გამომუშავებამდე ეწოდება ე. წ. „ფანჯრის პრინციპი“, რომელიც საშუალოდ 3 კვირიდან 12 თვემდე შეიძლება გაგრძელდეს და ინფიცირების გამოვლენა ვერ მოხერხდეს დღესდღეობით არსებული ვერც ერთი თანამედროვე ტესტის საშუალებით“ (2, 8, 11).

თუ როგორ დგინდება სავარაუდო დონორის ორიენტაცია და ცხოვრების წესი, საქმეზე სპეციალისტად მოწვეულმა საქართველოს ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა გენადი იოსავამ წარმოდგენილ დასკვნაში განმარტა: „ჰომოსექსუალობა დგინდება ანამნეზიით, სადაც დონორობის მსურველს ეკითხებიან, ჰქონდა თუ არა მას ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირი“ (2, 8).

კლინიკებში, სადაც ხდება დონორთა მსურველთათვის სისხლის აღება, სავარაუდო კანდიდატებს ავსებინებენ მხოლოდ ანკეტებს. მარტივი წარმოსადგენია, რამდენად უსაფრთხოა ეს პროცედურა. აქ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინოთ ქართული მენტალიტეტი და რეალობა. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 95%-ზე მეტი უარყოფითად არის განწყობილი სექსუალური უმცირესობების მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც უახლოესი წარსული – რა ხდებოდა ჩვენს დედაქალაქში ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართულ აქციაზე. საქართველოს მოსახლეობა სასტიკად უსწორდებოდა სექსუალურ უმცირესობას. აქედან გამომდინარე, დანამდილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ყოველთვის ეცდება იმის დამალვას, რისთვისაც მას სდევნიან, ცემენ და აყენებენ სიტყვიერ, ფსიქიკურ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ის დონორებიც, რომლებიც სისხლის ჩაბარების სანაცვლოდ იღებენ თანხას, ანუ არიან ანაზღაურებადი დონორები, მაღავენ სექსუალურ წარსულს, რადგან უარი არ უთხრან დონორობაზე და, შესაბამისად, არ დარჩნენ ანაზღაურების გარეშე.

მოსარჩელე მხარე აღნიშნავდა, რომ ჰომოსექსუალიზმი არ გულისხმობს აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას, აქედან გამომდინარე, ყველა ჰომოსექსუალი არ არის საფრთხის შემცველი, რადგან ყველას არ აქვს აქტიური სექსუალური ცხოვრება. **შევნიშნავთ, რომ ეს არსებითად მცდარი შეხედულებაა, რადგანაც პრაქტიკაში არსებული ყველა ორიენტაციის ადამიანებს უჩნდებათ მოთხოვნილება, მიდრეკილება იმისა, რომ ჰქონდეთ სექსუალური კონტაქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ აქვთ თავის ტვინში დარღვევა.**

მხოლოდ და მხოლოდ ასექსუალებსა და ანტისექსუალებს არ აქვთ აქტიური სექსუალური ცხოვრება. აზრის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ ორივე შემთხვევა.

ასექსუალიზმი არ გულისხმობს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას სექსუალური ცხოვრებისადმი, უბრალოდ, მათ არ უჩნდებათ ასეთი მოთხოვნილება. მეცნიერების დასკვნით, ასექსუალიზმი არ არის რამე დაავადება და ის არ იწვევს

რამე პათოლოგიას, ასევე არ მოქმედებს ცუდად ადამიანის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ხოლო რაც შეეხება ანტისექსუალებს, ისინი უარყოფითად არიან განწყობილი ყველა ორიენტაციის ადამიანის მიმართ.

დონორობის აკრძალვა არც ანტისექსუალებზე და არც ასექსუალებზე არ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსარჩელის არგუმენტი უსაფუძვლო და არასწორია.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ არ მოდის შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, კონკრეტულად წინადადებასთან – **ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად სქესისა**. სიტყვა „ჰომოსექსუალი“ შეიცვალა შემდეგი ფორმულირებით – „მამაკაცის სქესი მამაკაცთან“ (მსმ-ით), რითაც კანონმდებელმა ორი კარგი საქმე გააკეთა: პირველ რიგში, ნორმა გახდა არადისკრიმინაციული და მეორე, გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელნიც მოიაზრებიან დაავადების გადამტანად, რადგან ახალ რედაქციაში იგულისხმებიან, აგრეთვე ბისექსუალებიც. რა თქმა უნდა, ისინი გაორმაგებული საფრთხის მატარებელი არიან, რადგან მათ აქვთ სექსუალური კონტაქტი როგორც მამაკაცებთან, აგრეთვე ქალებთანაც. რაც შეეხება არადისკრიმინაციულობას, ახალ რედაქციაში აკრძალვა ეხება არა სექსუალურ ორიენტაციას, არამედ იმათ, ვისაც აქვს აქტიური არატრადიციული სექსუალური ცხოვრება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის იდეის ნორმატიულ გამოხატულებას – კონსტიტუციურ ნორმა პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტიებს. სამართლებრივი დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ კანონიერებას, კანონი ამავე დროს სამართლიანიც უნდა იყოს. ამავდროულად, შეიძლება ესა თუ ის ნორმა ზღუდავდეს ადამიანთა გარკვეული წრის უფლებებს, მაგრამ თუ დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს, ასეთი ნორმა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, როგორც მაკიაველი იტყვოდა – „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

რაც შეეხება კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული თანასწორობის უფლების შეზღუდვას, მიგვაჩნია, რომ მას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა [ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა] (2, 11).

ფაქტია, თუ როგორი საფრთხის შემცველია ჰომოსექსუალის დონორობა და ამ კუთხით განვიხილავთ აივ-ინფექციას, რომლის გავრცელების საფრთხეც იზრდება ასეთ შემთხვევებში.

აივ-ინფექცია (შიდსი) პირველად წარმოიშვა დასავლეთ აფრიკაში. 1959 წელს პირველი ადამიანი გარდაიცვალა აივ-ინფექციით. აივ ინფიცირებულებში ბევრად უფრო ადვილად ვრცელდება ისეთი დაავადებები, როგორებიცაა ტუბერკულოზი, ჰერპესი და სხვა. ამას, რა თქმა უნდა, იწვევს ის, რომ ამ დროს ადამიანს დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი (ანუ ორგანიზმის დაცვის სისტემა), რომელიც გამოიწვია აივ-ინფექციამ.

ჰომოსექსუალების დონორობა ორჯერ ზრდის საფრთხეს, როგორც აივ-ინფექციის, ასევე ჰეპატიტის გავრცელებისას.

სტატიაში განვიხილავთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მსოფლიოს ქვეყნების დამოკიდებულებას. რადგან სტატის მოცულობა არმ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შევეხო თითოეულ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, განვიხილავ რუსეთისა და აშშ-ის მაგალითს.

2007 წლამდე, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ჰომოსექსუალებს ეკრძა-

ლებოდათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა. 2007 წლის აპრილში ლებტი-ის აქტივისტებმა შეიტანეს საჩივარი სასამართლოში და მოითხოვეს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების გაუქმება (სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ), რომლის მიხედვითაც, ჰომოსექსუალებს ეკრძალებოდათ დონორობა. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ბრძანება არის დისკრიმინაციული. მართლაც, რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული აკრძალვა მოხსნა 2008 წელს. 2013 წელს „დუმაში“ საკანონმდებლო ინიციატივია წარადგინეს ლდპ-ის წევრებმა და მოითხოვეს, რომ კვლავ ყოფილიყო აკრძალვა ჰომოსექსუალებზე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობაზე, ვინაიდან ძალზე დიდი რისკის მატარებელი არიან დაავადების გადატანისა, ამას მოწმობს ქვეყანაში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში აივი-ინფიცირებულების გაზრდილი რაოდენობა და, მათი მოსაზრებით, არსებობდა რაოდენობის გაზრდასა და აკრძალვის მოხსნას შორის მიზეზობრივი კავშირი. ლდპ ასევე მოითხოვდა, რომ ძველ ბრძანებაში შეეტანათ ერთი ცვლილება – სიტყვა „ჰომოსექსუალი“ შეეცვალათ მსმ-ით. კონკრეტული საკითხი დღესაც აქტუალურია რუსეთის ფედერაციაში. რუსეთი შედის იმ 9 ქვეყანაში, სადაც არ არის არანაირი შეზღუდვა მსმ-ის დონორობაზე.

რაც შეეხება აშშ-ის მიდგომას ამ საკითხისადმი, ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც უკომპრომისო. მიუხედავად უამრავი გამოსვლისა და მოთხოვნისა, მოეხსნათ აკრძალვა და ჰქონოდათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლება, ამერიკის მთავრობამ ეს აკრძალვა მიიღო 1977 წელს და მას შემდეგ არანაირი ცვლილება არ შეუტანია მასში. ამერიკის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მამაკაცი, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია სექსუალური აქტი მამაკაცთან, 70-ჯერ მეტი საფრთხის მატარებელია, ვიდრე სხვა, ხოლო 800-ჯერ მეტი საფრთხის, ვიდრე დონორები და 8000-ჯერ მეტი, ვიდრე განმეორებადი დონორები. ეს ციფრები ასახავს მხოლოდ აშშ-ის საზღვრებს შიგნით შექმნილ სიტუაციას.

ამერიკისა და რუსეთის მაგალითის დეტალური შესწავლისას და მათი დამოკიდებულებიდან მსმ-ჯგუფის სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობასთან მიმართებაში, - ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ერთში სამუდამოდ არის აკრძალული, ხოლო მეორეში არანაირი აკრძალვა არ არის.

მსოფლიოს ქვეყნებიდან მხოლოდ 9 ქვეყანაში არის დაშვებული მსმ-ის დონორობა: 1) რუსეთი; 2) ჩილე; 3) იტალია; 4) მექსიკა; 5) პორტუგალია; 6) პოლონეთი; 7) ესპანეთი; 8) ტაილანდი 9) ურუგვაი. დანარჩენ ქვეყნებში არის გარკვეული ან სამუდამო აკრძალვები დონორობასთან დაკავშირებით.

მაინც რა არის სისხლის დონორობა და რას ემსახურება იგი? სისხლისა და მისი კომპონენტების ნებაყოფლობით გაღება, იქნება ეს ანაზღაურებით თუ მის გარეშე, ემსახურება კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანეს საქმეს – დონორისაგან აღებული სისხლით მარაგდებიან დაწესებულებები, რომელნიც შემდეგ სისხლს გადასცემენ საავადმყოფოებს, სისხლის ბანკებს, ამბულატორიებს, ლაბორატორიებს და სხვა. სისხლი გამოიყენება საგანმანათლებლო და სამედიცინო მიზნებისათვის. ეს არის სისხლისა და მისი კომპონენტების, მედიკამენტების დამზადება. რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ტრანფუზია, ანუ სისხლის გადასხმა საჭიროების შემთხვევაში. ექიმები პაციენტს სისხლს უსხამენ სხვადასხვა სიტუაციაში: დამწვრობის, ტრამეების, რთული ოპერაციების მიმდინარეობისას და ა.შ. ასეთი სიტუაციების დროს პაციენტთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სისხლის გადასხმა. მსოფლიოს ყოველ მესამე ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც სჭირდება სისხლის გადასხმა, რაც გულისხმობს იმას, რომ საშუალოდ 2 მილიარდი ადამიანი მოიხმარს დონორის სისხლს. არსებობს ხელოვნური სისხლის

შემცველები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ გამოუვალი სიტუაციების დროს, რადგან არის ბევრად ძვირი, ვიდრე დონორის სისხლი, ასევე, სრულფასოვნად ვერ ცვლის სისხლს, რადგან ხელოვნური შემცველები არ შეიცავს ყველა კომპონენტს, აქვს გვერდითი ეფექტებიც.

იმისთვის, რომ იყო დონორი, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები: დონორი შეძლება იყოს პირი, რომელიც არის კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი, რომელიც უწყვეტად ცხოვრობს ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში. დონორი უნდა იყოს სრულწლოვანი და, რაც მთავარია, დონორობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ უნდა ჰქონდეს რამე დაავადება და სარისკო სექსუალური კონტაქტი ერთი წლის განმავლობაში. ზემოთ მოყვანილი მსჯელობით შევეცადეთ სტატიაში ნათლად წარმოგვეჩინა მსმ-ჯგუფის სისხლის დონორობის საფრთხე საზოგადოებისთვის, თუ რა დაავადების გადამტანია და თვით ამ დაავადებით გამოწვეული ფატალური შედეგები, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მსოფლიოს მოსახლეობის 33 400 000 ადამიანი ინიფიცირებულია აივ-ინფექციით. ამათგან 52% ჰომოსექსუალია. პირველად აივ-ინფიცირებული ადამიანი (ცოცხალი, რომლის გამოკვლევაც შეძლეს) დააფიქსირეს 1981 წლის 5 ივნისს აშშ-ში, ატლანტის შტატში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აივ-ინფექციის გამავრცელებლები იყვნენ ჰომოსექსუალები.

დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს – სარჩელსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოსარჩელე მხარემ აღნიშნა, რომ სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ დისკრიმინაციულია, რადგან ის მიუთითებს ადამიანის სექსუალურ ორიენტაციაზე, ამდენად არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-14 მუხლს. სასამართლომაც დააკმაყოფილა სარჩელი. ამ კომპონენტში ვეთანხმებით მოსარჩელე მხარეს, რომ სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ მიუთითებს სექსუალურ ორიენტაციაზე და არის დისკრიმინაციული, მაგრამ არც სასამართლომ და არც მოსარჩელე მხარემ არ გაითვალისწინა მინისტრის ბრძანების ახალი რედაქცია, რომელშიც სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ შეიცვალა „მსმ“-თი. „მსმ“ ნამდვილად არ მიუთითებს რომელიმე სექსუალურ ორიენტაციაზე, ვინაიდან ამ ჯგუფში შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც (ჰეტერო, ბი), ასევე ჰომოსექსუალებიც, რადგან ერთი სექსუალური აქტი მამაკაცისა მამაკაცთან საკმარისია იმისთვის, რომ ის მოვიხსენიოთ როგორც მსმ ჯგუფის წევრი. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ბრძანება დისკრიმინაციულია და არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-14 მუხლს – უსაფუძვლოა.

მოსარჩელე მხარეებს ვეთანხმებით იმ საკითხში, რომ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი უფლების შეზღუდვისთვის. იმისთვის, რომ უფლება შეიზღუდოს, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე პირობა: 1) სახეზე იყოს დაცული სფეროს არსებობა; 2) ჩარევა იყოს კანონით გათვალისწინებული; 3) ასეთი ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის; 4) ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს.

ამ ოთხი პირობიდან ოთხივე არის სახეზე: ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, რა თქმა უნდა, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ის ემსახურება მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩარევა არის კანონით გათვალისწინებული. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის მინისტრს აქვს დელეგირებული უფლებამოსილება უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისა და ქვეყანაში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობა; სიცოცხლის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ხოლო დაცული სფერო აღნიშნულ შემთხვევაში არის მთლიანად საზოგადოება.

დაცული სიკეთე, რაც გამოიხატება საზოგადოების დაცვაში, ბევრად უფრო

ღირებულება, ვიდრე მიყენებული ზიანი, რაც გამოიხატება საზოგადოების 4%-ის, ანუ ჰომოსექსუალების რაღაც მხრივ შეზღუდვაში. მარტივი წარმოსადგენია, რომელი უფრო ღირებულება: ჩავაგდოთ საფრთხეში საზოგადოების 96% პროცენტი იმისთვის, რომ დანარჩენს არ შეეზღუდოს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლება.

სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზეც, რომელიც შეეხება ერთსქესიანთა ქორწინებას. გერმანია შედის იმ 20 ქვეყანაში, სადაც დაშვებულია ერთსქესიანთა ქორწინება. დამეთანხმებით, ეს უაღრესად დემოკრატიული გადაწყვეტილებაა, რომლითაც გათანაბრებულია ნებისმიერი ადამიანი კანონის წინაშე, მაგრამ აღნიშნული 20 ქვეყნიდან მხოლოდ ერთში, ურუგვაუში არის დაშვებული სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა ჰომოსექსუალების მიერ. გერმანიის მიდგომა ამ საკითხისადმი ასეთია: „ერთი სქესის წარმომადგენელთათვის რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორების სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღება არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, ქორწინების ინსტიტუტის განსაკუთრებული დაცვა ხელს არ უშლის კანონმდებელს გაითვალისწინოს ერთი სქესის წარმომადგენელ წევილთათვის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მსგავსია ან მიახლოებულია ქორწინებასთან. ქორწინების ინსტიტუტს არ ემუქრება შეზღუდვის და შევიწროების საფრთხე ისეთი ინსტიტუტების შემოღებით, რომელიც მორგებულია იმ ადამიანებზე, ვისაც არ შეუძლიათ დაქორწინება“ (3, 143).

აქვე გვინდა შევეხოთ ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ჩვენთვის გასაკვირი ფაქტია ის, რომ აუიოტაუი გამოიწვია აღნიშნული კანონის მიღებამ და არავითარი გამოხატულება არ პოვა სისხლისა და მის კომპონენტებზე დონორობის აკრძალვის გაუქმებამ. აღნიშნული კანონი არავითარ დამატებით უფლებას არ აძლევს ჰომოსექსუალებს. ბრალოდ, ეს კანონი სექსუალური უმცირესობისათვის ხელშემწყობია, იყენენ სოციალურად აქტიურები და გრძნობდნენ თავს როგორც საზოგადოების სრულყოფილი წევრები. ხოლო დონორობაზე აკრძალვის მოხსნა პირდაპირ საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის. ანტიდისკრიმინაციული კანონი არაფერს შეიცავს ისეთს, რაც კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული. პირველი მუხლის მიხედვით, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად (4).

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ნათელს გახდის, თუ როგორი საფრთხის შემცველია მსმ ჯგუფის სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა, ასევე ვიმედოვნებ, ნათელია თუ რატომ ვუწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას „გაუმართლებელ რისკს“.

რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია საკუთარი აზრი დააფიქსიროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტი ერთია, გადაწყვეტილება საფრთხის შემცველია მთლიანად საქართველოს მოსახლეობისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2014.
3. შუაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.
4. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

Ia Kharazi, Badri Gorgiladze
Unreasonable Risk
(According to the Constitutional Court's decision)
Summary

The article is about the Constitutional Court's decision. According to this decision, people, who have non-traditional sexual orientation, have the right to be blood donors. That is why the title of the article is “Unreasonable risk”. The author disagrees with the decision of Constitutional Court and considers that it is too dangerous for population to give those people who have non-traditional sexual orientation the opportunity to use this right.

Иа Харази, Бадри Горгиладзе
Неоправданный риск (одно решение Конституционного суда)
Резюме

В статье говорится о приложении к приказу министром труда и здравоохранения от 5 декабря 2000 года зф № 241/н о проверке групп крови доноров. В соответствии со статьей 24, лицам нетрадиционной сексуальной ориентации запрещено донорство крови. На это последовала конституционная жалоба от указанных в статье лиц, требующих от конституционного суда аннулирования упомянутого приказа, который не соответствует статьям 14 и 16 грузинской Конституции, в котором говорится о защите прав человека. Конституционный суд аннулировал приказ министра. Указанное решение назвали «Неоправданный риск».

ჯანო წულუკიძე
(საქართველო)

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება
და საქმიანობის წესი**

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი ბუნება დრომ მოითხოვა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების აქტუალიზაციისათვის. ამიტომ ადგილობრივი მართვის ქმედუნარიანობის პროგრესირების თვალსაზრისით, მმართველობის პროცესში თვითმმართველობის ზრდაზე გაკეთებულმა აქცენტებმა არსებითი დატვირთვა შეიძინა. შედეგად, მუნიციპალიტეტის თანამედროვე გაგებამ სახელმწიფო მართვის სისტემაში დემოკრატიზაციის ბუნებითი კრიტერიუმები განამტკიცა.

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ტერიტორიულ ერთეულებში იქმნება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. მათ ერთდროულად ენიჭებათ საჯარო და ადგილობრივი ორგანოს სტატუსი, შესაბამისად, სახელმწიფო და თვითმმართველობითი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაც მათი ერთობლივი საქმეა.

მუნიციპალური სამართალი კონსტიტუციური სამართლის ქვედარგია და იგი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საერთო პრინციპებს, მათი რეალიზაციის ფორმებსა და გარანტებს, ამასთან, ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილსა და როლს საჯარო ხელისუფლების სისტემაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციის სამართლებრივი წყაროების სისტემაში უზენაესი ადგილი კონსტიტუციას ეკუთვნის. მუნიციპალიტეტის სამართლებრივი ბუნება, მისი სისტემური ფორმირება და ქმედითობა იმაზეა დამოკიდებული თუ რა კომპლექსს ემყარება ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების პრინციპების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რა ფუნქციებს აკისრებს იგი შესაბამის ორგანოებს და რამდენად უზრუნველყოფილია კანონმდებლობას დაცვა და ფუნქციონირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა, რომლის სტრუქტურაში მოქცეული დაწესებულებების ერთობლიობა ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების ორგანოებად იწოდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა;

მუნიციპალიტეტის შექმნის გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობების წარდგენა;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების დადგენა; მუნიციპალიტეტის საპატრიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა);

ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩი-

ხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მათში ცვლილების შეტანა;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და გაუქმება, დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გამგეობის/მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება;

მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერიისთვის უნდობლობის გამოცხადება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს;

საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანჟირების სისტემის გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით.

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-

წის ნაკვეთის ნორმატიული ფარის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა;

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიხსნება, თუ მას ესწრება (რეგისტრირებულია) ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესი წევრი (1, 59).

ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება დაფინანსება. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად არ ჩაითვლება, თუ იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წყდება. ასეთ შემთხვევაში ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომდევნო სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იმ დღიდან 10 დღის ვადაში, როდესაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია მუნიციპალიტეტის სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე შესავსებად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წინადადებით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტის მოთხოვნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ უზრუნველყოფს მუნიციპა-

ლიტეტის საკრებულოს აპარატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მის არყოფნისას – სხდომაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესი წევრი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით, ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო შედგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილის (მოადგილეების), მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო:

ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;

კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას.

განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გასატან ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების პროექტებზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაოების დასკვნებსა და წინადადებებს;

ისმენს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის/მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით იქმნება კომისიები, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ მუნიციპალიტეტის საკრებულის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

მუნიციპალური სამართალი ახდენს იურიდიული მეცნიერების მთელი რიგი სხვა დარგების თეორიული ცოდნის ინტეგრირებას ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკასთან მიმართებით (4, 14).

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მუნიციპალური სამართლის, როგორც სამართლის კომპლექსური დარგის, სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინის სახით ჩამოყალიბება და განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ეროვნული სისტემის ფორმირებისა და ამოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინა პირობაა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 2014.
2. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 2005.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ, 1999.
4. მელქაძე ო., ეზუგბაია ზ., მუნიციპალური სამართალი, 2002.

Jano Tsulukidze
Authority of Municipality and the Code of the Conduct
Summary

The article studies problems of municipality power distribution and proposes some ways to solve the problems.

Establishment of local self-government and its proper functioning, as a rule, has got two main objectives: 1) reformation of state government by means of its decentralization and deconcentration; 2) drawing government performance closer to individuals and causing organic merger of local initiatives with public interests.

Джано Цулукидзе
Правомочия и порядок деятельности сакребуло (собрания) муниципалитета
Резюме

Установление и полноценная реализация местного самоуправления в государстве, как правило, ставит перед собой две задачи:

- Реформация публичной власти путем ее децентрализации и декоцентрации;
- Приближение к индивиду осуществления властных правомочий, и как результат, органичное слияние местной инициативы с публичным интересом.

ავთანდილ ხაზალია, ია ხარაზი
(საქართველო)

**ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრობლემები
საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის**

საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევების ცნება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები ძირითადად თანამდებობის პირები არიან. კანონის თანახმად, თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობის წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესებისა და სხვა იმ წესების დაუცველობისათვის, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა მათ სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს.

რადგან ჩვენ საგადასახადო წესების დარღვევებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას: სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ზოგადად, კონკრეტულად კი – საჯარო მოხელეთა და, ხშირ შემთხვევაში, მათ სოლიდარულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოსთან ერთად. „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოხელეების) მიერ მიყენებული ზიანისათვის სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლის პრაქტიკისა და მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. საკითხის სირთულე გამომდინარეობს იქედან, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს (ფინანსური) ინტერესი, მისი ქმედუნარიანობის შენარჩუნების პრინციპი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. დასავლურმა სამართლებრივმა სახელმწიფოებმა აღიარეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით“ (9, 143).

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველობის ორგანოთა სახსრებიდან“. საქართველოს კონსტიტუციით დაამკვიდრდა ზოგადი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს მისი ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. ქვეყნის უზენაესი კანონით აღიარებული ეს პრინციპი აისახა აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომელმაც განსაზღვრა, რომ: „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“ (6, 1), ასევე სახელმწიფო პასუხს აგებს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც მიადგა რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს და სხვ.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ვლინდება სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვლინდება ასევე

პასუხისმგებლობის პოზიტიური (რაც ნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტი აღიარებს ქცევის არასწორ ხასიათს, იგი მოიქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები) და ნეგატიური ფორმებით (რეტროსპექტიული ან ნეგატიური ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოიცავს უპასუხისმგებლო ქცევის შეფასებას, ე. ი. როდესაც სამართლის სუბიექტი ჩადის ადმინისტრაციულ სამართადარღვევას, იგი ისჯება და განიცდის პირადი და ქონებრივი ხასიათის შეზღუდვებს).

საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1. საგადასახადო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოხატულია სახელმწიფოებრივი იძულების ფორმით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებით; 2. მას თან ახლავს სახელმწიფოებრივი გაკიცხვა და სამართალდამრღვევი პირისათვის იწვევს უარყოფით შედეგებს; 3. როცა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის დგება, იგი რეალიზაციას განიცდის პასუხისმგებლობის ურთიერთობათა ფარგლებში.

კანონმდებლობა საგადასახადო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მჭიდროდ უკავშირდება სისხლისსამართლის კანონმდებლობას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ერთ-ერთი ძირითადი სახეა იმ იურიდიულ პასუხისმგებლობათა შორის, რომელიც გამოიყენება საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის. პასუხისმგებლობის ეს სახე განსხვავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. იგი განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ არ იწვევს ნასამართლობას, არ არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სასჯელების (თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები და სხვ.) გამოყენებასთან; არ არის მხოლოდ სასამართლოს ქვემდებარე“ (7, 339.)

საგადასახადო წესების დარღვევათა მეტი წილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მოდის. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როცა ნივთის ღირებულება აჭარბებს 25 ათას ლარს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევაში ნივთის საგადასახადო ღირებულება ზემოთ აღნიშნულ თანხაზე ნაკლებია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; დ) იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი, ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; ე) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა; ექ) იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა; ვ) გამასწორებელი სამუშაოები; ზ) ადმინისტრაციული პატიმრობა.

აღვნიშნავთ, რომ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა და საგნის კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული

ციული სახდელის სახით. გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა კი გამოიყენება როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს (ასკ მ. 38, ნ. 1), ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია - არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ოთხ თვეს, გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159{5}-159{9} მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის 2{1} ნაწილით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159{5}-159{9} მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან. სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ერთი თვისა, სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან (ნ. 3).

საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევების შემთხვევისათვის საინტერესოა ასკ-ის 39-ე მუხლი („ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად“), რომლის თანახმადაც, თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად. მუხლის შენიშვნით, სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ კი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი უშუალოდ საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებს ეხება, მაგალითად, მუხლი 128{4} („იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის დადაგენილი მოთხოვნების დარღვევა“), რომლის თანახმად, „იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-2 ნაწილით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ხე-ტყის კონფისკაციით, ან კიდევ ასკ-ის მ. 129{1}, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 მარტიდან) და სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ „ტვირთამწყობი დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანი ან ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11, 5 ტონას) ან ფაქტობრივი მასა აღემატება

ნებადართულ მაქსიმალურ მასას, - გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად. აღნიშნული ეხება ასევე საბაჟო საკითხებსაც, კერძოდ: საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევების ნორმების ანალიზისას საინტერესო ნორმაა ასკ-ის მ. 155{2}, „მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის „აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა“ - რომლის წესების დარღვევებისათვის გათვალისწინებულია დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობა ვადით 30 დღემდე, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, - გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათასი ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, ადმინისტრაციული პატიმრობას ვადით 60 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე. აქვე გამოეთქვამთ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნორმის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქციზური მარკის გარეშე საქონლის გადაზიდვას, მიგვაჩნია, რომ შეიძლებოდა უკეთესად დალაგებულიყო ასკ-ში და საგადასახადო კოდექსის იმ ნორმებშიც, რომლებიც მსგავსი დარღვევებისათვის სანქციებს ითვალისწინებენ. საქართველოს საგადასახადო-საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში უამრავი მაგალითის მოძიება შეიძლება, როცა აქციზური მარკის დატანების გარეშე საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი მისი გადამტანი პირებისათვის ჩამოურთმევიათ და გაუნადგურებიათ (დაუწვიათ (მაგ., სიგარეტი), საკანალიზაციო მილებში ჩაუღვრიათ (მაგ., ღვინო) და სხვ. ამით სახელმწიფოსაც არაფერი ემატება, ეს პროცედურა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდანაც; ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ აქციზური მარკების გარეშე საქონლის შემომტან-გამტანი პირები დაგვეჯარიმებინა“, კანონით გვეიძულებინა აქციზური მარკები ეყიდათ ფინანსთა სამინისტროში და დაეტანებიათ იგი საქონლისათვის და აქციზის მოსაკრებელიც გადაგვეხდევინებინა. ეს უფრო ლოგიკური, სამართლებრივი გამოსავალი იქნებოდა ბიუჯეტის შევსების მხრიდანაც და, პირს, რომელიც აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის, დავაკისრებდით რამდენიმე სახის სანქციას. ამასთანავე ის გაფრთხილდებოდა, რათა მომავალში იგივე კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაედინა.

საგადასახადო საქმეში ცნობილი გამოთქმაა: „მხოლოდ გადასახადები და სიკვდილია გარდაუვალი“. საგადასახადო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ: „პირი ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 5, ნ.1). ხოლო საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი კიდევ უფრო აძლიერებს მე-5 მუხლის დანაწესს იმაზე მითითებით, რომ „გადასახადი არის საგადასახადო კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადახდების აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“. აღნიშნული ნორმიდან აშკარად იკვეთება, რომ პირებმა, რომლებიც გადასახადს დაქვემდებარებულ საქონელს აწარმოებენ, გადაზიდვენ საბაჟო საზღვარზე და ა. შ. უპირობოდ უნდა გადაიხადონ გადასახადები, რომლის შეუსრულებლობას მოჰყვება არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საგადასახადო - სამართლებრივი, სისხლის - სამართლებრივი და სამოქალაქო - სამართლებრივი სანქციები. სანქციები კი, ხშირ შემთხვევაში, კუმულაციურია. საგადასახადო კოდექსის აღნიშნულ

ნორმებს პირდაპირი მნიშვნელობით ეხმიანება ასკ-ის 165{1}, რომელიც გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების არასწორად გადახდევინებას ეხება და გადამხდელთათვის ზარალის მიყენებას იწვევს და გარკვეული ფულადი სანქციებიცაა დაკისრებული. აქვე განვმარტავდით, რომ გადასახადების ცნება მოიცავს გადასახადებსაც, მაგრამ გადასახადები არ არის გადასახდელი, კერძოდ: გადასახდელში შედის: გადასახადები, რომლებიც თავისთავად იყოფა: საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად და საერთო დეფინიციაში „გადასახდელში“ მოიაზრება, ხოლო საბაჟო სამარლებრივი აქტების შესაბამისად, საბაჟო მოსაკრებელი საქონლის გაფორმებისა და საქონლის დათვალიერებისათვის გადაიხდევინება, რომელსაც საქონლის საბაჟო საზღვრაზე გადამტანი პირები კონკრეტულად შემოსავლების სამსახურს უხდიან, ამ სამსახურში რჩება და საბაჟო-საგადასახადო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ხმარდება, ასევე თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას (პრემიებს და სხვა). იგივე მოსაკრებლებია ვოქვათ, სანოტარო, საკონსულო, სამშენებლო და ა.შ. მოსაკრებლები. რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს, იგი უშუალოდ ბიუჯეტის შევსებისაკენ მიიმართება, ხოლო ადგილობრივ გადასახადებს (ქონების გადასახადი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო აწესებს მის მიერვე გამოცემული ნორმატიული აქტით და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს მხოლოდ. აქვე შევნიშნავთ, ასკ-ის მიმართ, რომ რამდენადაც მასში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის (რაც უშუალოდ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, არასწორად გადახდევინებას, საგადასახადო დოკუმენტების არასწორად შევსებას და ა. შ. ეხება), საერთოდ არ საუბრობს ადგილობრივი (ქონების) გადასახადების გადახდევინებისას დარღვევებზე და შესაბამის სანქციებზე, არადა ამ კუთხითაც გვაქვს სერიოზული ადმინისტრაციული გადაცდომები. თუ იმ კუთხით შევხედავთ პრობლემას, რომ ადგილობრივ გადასახადებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ადგენს და სანქციაც მისივე განსაზღვრია, არასწორია და გაუმართლებელი, რამეთუ სანქციები, მით უმეტეს გადასახადების დარგში, კანონმა უნდა განსაზღვროს. ეს პირდაპირაა განსაზღვრული საგადასახადო კოდექსით, რადგან არასწორად დარიცხული და გადახდევინებული თითოეული თეთრი ბიუჯეტისათვის, საბოლოოდ კი მოსახლეობისათვის წართმეული სიკეთეა. ეს ხარვეზია კანონმდებლობისა და მიგვაჩნია, რომ უნდა შეივსოს. იგივეს ვიტყვით საგადასახადო კოდექსის 39-ე თავთან მიმართებაში, რომელიც „საგადასახადო სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობას“ ეხება. აქვე სათაურთანაც გავაკეთებდით შენიშვნას: უკეთესი იქნებოდა, თუ აღნიშნული თავი შემდგენაირად ჩამოყალიბდება: „საგადასახადო - საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთ ძირითად მუხლს საგადასახადო - საბაჟო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ასკ-ის 194-ე მუხლი ეხება („საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა“). მაინც რა ტერიტორიას მოიცავს საბაჟო კონტროლის ზონა? ვინ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს? რა მექანიზმები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას, კონტროლის ზონაში საქონლის გადამუშავებისას? და სხვ. ასკ-ის 194-ე მუხლის ანალიზი შეუძლებელია ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლად. მივყვეთ კითხვებს. საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება. საბაჟო კონტროლის ზონა მოი-

ცავს საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილსა და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა-ნაგებობის ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცედურების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოპყრო საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით, თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს განსაზღვრავს შემოსავლების სამსახური. საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დეკლარირებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით საბაჟო კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილია. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი: საბაჟო კონტროლს ექვემდებარება: პირი საზღვრის გადაკვეთისას; საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; ტერიტორია, სადაც განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პირის საქმიანობა. საბაჟო ზონა, ცხადია, სახელმწიფოს ტერიტორიას გულისხმობს, შემოვლებულს სადემარკაციო ხაზით, იგი ქვეყნის საბაჟო ზონების ერთობლიობაა. მსოფლიოში დღეს მოქმედებს საერთაშორისო კონვენცია ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ, რომელიც ჟენევაში განხორციელდა 1982 წელს და ამ კონვენციაზე მიერთებული ქვეყნებისათვის მთავარი პირობა არის, ის, რომ ყველა ქვეყანამ ერთნაირი პირობებით უნდა განახორციელოს კონტროლი, რომელიც გულისხმობს სანიტარულ, ფიტო-სანიტარულ, ვეტ-სანიტარულ, ხარისხის, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის და ა. შ. კონტროლს. ტვირთების, საქონლის (ნედლეულის) კონტროლი იმიტომაც საჭირო, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში (მაგალითად, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში არ შემოადწიოს გადასამუშავებლად ისეთმა კონტროლს დაქვემდებარებულმა საქონელმა, რომელიც მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, ან კიდევ კონტროლის ზონაში არ მოხდეს ისეთი უკანონო რეწვა, როგორცაა ნარკოტიკებისა და იარაღის წარმოება და სხვა. ამის არაერთი ფაქტი არსებობს, სამწუხაროდ, მსოფლიო მასშტაბით და მასთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილია. ასკის 194-ე მუხლის ანალიზი შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული განმარტების გარეშე. მაინც რა შეიძლება აწარმოონ ისეთი მეწარმეებმა (გადამამუშავებლებმა), რომ აქ წარმოებული საქონელი საშიში იყოს მომხმარებლისათვის და უკანონო რეწვას ჰქონდეს ადგილი. მოვიყვანთ მაგალითს: ფოთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (300 ჰექტარი) უკავია ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელიც ფოთის ნავსადგურის ყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნა. მისი ორგანიზატორია შპს „რაკია-საქართველო“ და მასში 118 კომპანიაა დარეგისტრირებული, თუმცა მესამედიც არ მუშაობს. აქ დასაქმებული კომპანიები სარგებლობენ ექსპორტისა და იმპორტის დაბალი ფასებით, მეწარმეები იქ თავისთვის მისაღებ სასურველ ბიზნესგარემოს ქმნიან, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ეს ტერიტორია „ეკონომიკური სახელმწიფო სახელმწიფოში“, გადასახადებისაგან თავისუფალი გარემოთი. ასეთი ტიპის ზონებში სახელმწიფოს განსაკუთრებული კონტროლი და ზედამხედველობაა საჭირო, რამეთუ თავისუფალ ზონებს თან ახლავს უარყოფითი ფაქტორებიც, ზოგადად, სამწუხაროდ, აქ ხშირად ხდება ფულის გათეთრება, ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის წარმოება; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მცირდება ასეთ ზონებში შემოდებული საგადასახადო შეღავათებით, დაბალი ტექნოლოგიებით გამოშვებული პროდუქცია ვერ უძლებს ძლიერ კონკურენციას; „ე.წ. ოფშორულ ზონებში“ ჩაურევლობის პრინციპი კიდევ უფრო მეტ საშიშროებას უქმნის ქვეყნების

ბიუჯეტსაც და მოსახლეობის ჯანმრთელობას და მათ უსაფრთხოებას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასკ-ს, გარდა 194-ე მუხლისა, უნდა დაემატოს მუხლები, საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საქმიანობის სფეროში, რამეთუ ასეთი უკანონო საქმიანობის ბევრი სახეა ცნობილი ასეთ ზონებში, და მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სტატიაში მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ვიტყვით, რომ დროული იქნებოდა, თუ სისხლის სამართლის კოდექსაც დაემატებოდა მუხლები საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო უფრო მარტივ დარღვევას, რომელიც სისხლის სამართლის ნიშნებს არ შეიცავს, ასკ დაარეგულერებდა ადმინისტრაციული ჯარიმებით (12, 462-506).

საგადასახადო ორგანოების პრაქტიკაში (აღრე საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში და არამარტო საქართველოში) ადგილი ჰქონდა საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებას და არა მარტო მეწარმეთა მიერ, არამედ თანამდებობის პირების მიერაც, რომლებიც ხელს უწყობდნენ საბაჟო რევიმების (დღეს სასაქონლო ოპერაციების) გამოძეგნებულ პირებს ანაბრების მიზნით, საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებაში, რითაც სახელმწიფო ზარალდებოდა, ბიუჯეტს გადასახადები აკლდებოდა. აქედან გამომდინარე, ერთგვარ პრევენციულ ნორმას წარმოადგენს ასკ-ის 195-ე მუხლი („ბეჭდის, პლომბის/ლუქის განზრახ დაზიანება ან აგლეჯა“), რომლის თანახმად, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა, გარდა ამ კოდექსის 44[3] მუხლით, 84[1] მუხლით, 131-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გამოიწვევს დაჯარიმებას. შედარებითი ანალიზისათვის, მსგავს დანაწესს ვხვდებით სისხლისსამართალშიც, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი - ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, რომელიც მოიაზრება დანაშაულში მმართველობის წესის წინააღმდეგ და მისი დამამძიმებელი ფაქტორების გამო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. აღვნიშნავთ, რომ: თუ ასკ-ში საუბარია უშუალოდ საქონელზე უკვე დადებული ბეჭდის, პლომბის/ლუქის განზრახ დაზიანება-აგლეჯაზე, სისხლის სამართლის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის და ა. შ. დამზადებაზე, გასაღებასა და გამოყენებაზე. ასკ-ის 195-ე მუხლის მიმართ ჩვენი მოსაზრება გაგვაჩნია. მუხლის დისპოზიციით ვიგებთ, რომ საუბარია განზრახ ქმედებაზე, აქ ამ მუხლის შემთხვევაში ალბათ პირდაპირი განზრახვა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირთა უშუალო ხელშეწყობით ხორციელდება, თუნდაც არ ხდებოდეს და ამ სასაქონლო ნიშნების გამოძეგნებელთა მიერ ხდებოდეს განზრახ, ეს კი საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობით უკვე ნიშნავს დიდი ოდენობით დასაბეგრი საქონლის განუბაჟებლად გადაადგილებას ქვეყნის საბაჟო საზღვარზე და ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით თანხების დამალვასაც. ცხადია, რომ ბევრმა ნორმამ სანქციის ლიბერალიზაციის მიზნით სისხლის სამართლის კოდექსიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაიდო ბინა, მაგრამ როცა საქმე დოკუმენტების გაყალბებას, განზრახ დაზიანებას ეხება და საგადასახადო სამართალში ეს ბიუჯეტისათვის თანხების დამალვის პირდაპირ პროპორციულია, ხომ შეიძლება რომ ამგვარი ქმედებით (მით უმეტეს, რომ ასკ-ის 195-ე მუხლში სიტყვა „განზრახ დაზიანება და აგლეჯა“, დიდი ოდენობით სახელმწიფოსათვის თანხების დამალვაზე იყოს საუბარი და სისხლის სამართლის კოდექსშიც მოგვეპოვება მუხლი 218, სადაც გადასახადისათვის თავის არიდებაზეა საუბარი, მართებული იქნებოდა თუ ასკ-ის 195-ე მუხლში სიტყვა „განზრახ“ „გაუფრთხილებლობით“ შეგვეცვალა, ხოლო განზრახი ქმედებისათვის „ბეჭდის, პლომბის/ლუქის გან-

ზრახ დაზიანება ან აგლეჯა“-სთვის სისხლის სამართლის კოდექსში მიგვეჩინა ადგილი, თუნდაც 218-ე მუხლის ერთ-ერთი ნაწილის დამატებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) არიან: რაიონის (ქალაქის სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები); შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები და საქართველოს საკანონმდებლო აქტების გამოცემაზე საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირები (თანამდებობის პირები). თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, მას ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი; თუ დამრღვევი სადავოდ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, მას შეუძლია სასამართლოში გაასახივროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

თანამდებობის პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას განახორციელონ ასკ-ის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადება. ასკ-ის 90-ე და 190{2} მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს საგადასახადო დარღვევაზე საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

ასკ-ის 219-ე მუხლის („საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანოები“) მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ასკ-ის 165-ე და 194-ე მუხლებით, ხოლო ასკ-ის 129{1}, 15-ე და 195-ე მუხლებით - თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. ფინანსთა სამინისტროს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ: ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ასკ-ის 157-ე, 165-ე, 165{10} და 195-ე მუხლებით, საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს; ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ასკ-ის 129{1}, 194-ე და 195-ე მუხლებით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეებს, სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს, რეგიონალური საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგადასახადო ორგანოების სხვა, სათანადოდ უფლებამოსილ პირებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირებს; ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ასკ-ის 179{3} მუხლით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს. როგორც ვხედავთ, იმ თანამდებობის პირების ჩამონათვალი, რომლებსაც ხელეწიფებათ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადება საკმაოდ ვრცელია, ამას თუ დავუმატებდით იმასაც, რომ კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ ვინ არიან ეს „სხვა უფლებამოსილი პირები“, სრულ გაუგებრობაში ტოვებს გადასახადის გადამხდელთ და საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამადგილებელ პირებს, რაც ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას; ბიუროკრატიული აპარატის ფართო წრის არსებობის შემთხვევაში კი როცა შემმოწმებელთა და ად-

მინისტრაციული სახდელის დადებაზე უფლებამოსილი პირების ჩამონათვალი თითქმის შეუზღუდავია, გაუგებარ სიტუაციაში აყენებს მეწარმეთ, მათთვის ხშირად გაუგებარიც კი ხდება ვინ არიან ეს „სხვა პირები, რომლებიც ასეთი ფართო უფლებებით სარგებლობენ მათ შემოწმებასა და მათზე ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე; ამას ემატება ალტერნატიული დაგების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დამდები ორგანო - ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ფინანსური დაგების განხილველი საბჭო, რომელიც სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში არაეფექტურად გამოიყურება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემცირდეს კანონმდებლობით იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ გადასახადების გადამხდელთათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება; ამასთანავე, დაკონკრეტდეს კანონმდებლობით ვინ არიან ეს „სხვა პირები“, რომლებიც გაუგებარ სიტუაციაში აყენებს მეწარმეთ. მიგვაჩნია, რომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი უნდა გამოსწორდეს, გადასახადის გადამხდელმა უნდა იცოდეს კონკრეტულად ვის აქვს უფლება მისი შემოწმებისა და ადმინისტრაციული სახდელის დადებისა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება ასკ-ის მე-17 თავშია მოცემული (მ. 230), ასევე სხვა სამართლებრივ აქტებში. საგადასახადო წესების დარღვევების საქმეებზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები კი დგინდება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დახარალებულისა და მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით და სხვა დოკუმენტებით. ასკ-ის 24-ე მუხლი განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ოქმი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის არ დგება ასკ-ის 190-ე („სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევისთვის“) და 190{2}-ე („სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რეჟიმის დარღვევა“) მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; ასკ-ის 209-ე მუხლის მე-2 და 2{1} ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჯარიმა არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. ასევე, კანონმდებლობა ითვალისწინებს (ასკ-ის მ. 244 „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები“) შემთხვევას, როცა არ ხერხდება და ადგილზე შეუძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთა და ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, ასევე შეუძლებელია ოქმის შედგენა. საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, რაც სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა საგადასახადო-საბაჟო წესების დამრღვევი პირების მიმართ (მაგალითად, როცა პირი საბაჟო საზღვარს გადაკვეთს ისეთი ნივთებით, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია; ვთქვათ, კულტურული მემკვიდრეობის ნივთები და სხვა). ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავებამ 12 საათზე მეტ ხანს არ უნდა გასტანოს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება სხვა ვადების დაწესებაც.

საინტერესოა რა ვადებში განიხილება ადმინისტრაციული საქმეები, რომლე-

ბიჯ უშუალოდ საგადასახადო საქმეებს ეხება? ასკ-ის 262-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირები) განიხილვეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან 15 დღის ვადაში, ხოლო ასკ-ის 192-ე, 195-ე, 196{2}-196{6} და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს - 7 დღის ვადაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ასკ-ის 234{1} მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღეში.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ტერმინს „კონფისკაცია“. გამომდინარე აქედან, ასკ-ის 295-ე მუხლით კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღსრულების განმახორციელებელ ორგანოებს სხვა, კოდექსში ჩამოთვლილ ორგანოებთან ერთად წარმოადგენს: ფინანსთა სამინისტროს სისტემის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას.

საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადებს, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით და სხვა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებსაც ქვემოთ შევხებით.

„საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება არა უმეტეს 2 თვისა გაგრძელდეს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით, „სააპელაციო სასამართლოში საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. სასამართლო საგადასახადო-საბაჟო დავებზე 10 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისათვის გადასაცემად. ვფიქრობთ, რომ ეს ვადა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებისათვის ძალზედ გაწელილია, რამეთუ ადმინისტრაციული დავები უფრო მობილურ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით ნაკლებ დროში განიხილება და მისი განხილვის საგნის, სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მოხდებოდა, ვთქვათ, 3 დღის განმავლობაში, ხოლო თუ საგადასახადო-საბაჟო დავებზე საქმე რთული გადასაწყვეტია, მაშინ სასურველია ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით, კერძოდ, მოსამართლემ გონივრული ვადით გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, მაგრამ არა ერთი თვით, როგორც ეს სსსკ-შია, არამედ, ვთქვათ, 14 დლით. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას, რის შესახებაც სხდომის დამთავრებისთანავე აცნობებს მხარეებს და განსაზღვრას გადაწყვეტილების სარეზოლუციო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში კი მოსა-

მართლე ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

საქართველოს კანონით „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ მნიშვნელოვნად შეიზღუდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის - სამეწარმეო სუბიექტების კონტროლის განხორციელების ფარგლები, რადგან, აღნიშნული კანონის შესაბამისად, მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე არის უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანო, კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას - განახორციელოს შემოწმება. მხოლოდ შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემული მოსამართლის ნებართვა შეიძლება გახდეს მეწარმის საქმიანობის შემოწმების წინაპირობა. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია ტერმინი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი“, როგორც კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევის გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება. უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს, რომ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი აერთიანებს ორ პრინციპულ ელემენტს: მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილება და მიზნობრიობა (დანიშნულება), რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ტერმინის „მაკონტროლებელი ორგანოს“ დეფინიციის - „ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი სამეწარმეო საქმიანობაზე“.

„მნიშვნელოვანია, რომ კანონი გარკვეულწილად ეფუძნება და იზიარებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიდგომას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“, ხოლო 5.3. მუხლის თანახმად კი, „უფლებამოსილების გადამეტებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს“. მაგალითად, „საგადასახადო ინსპექციამ მეწარმე შეამოწმა არა მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობასთან საქმიანობის შესაბამისობის, არამედ პირობითად სტანდარტიზაციის ან სანიტარული კანონმდებლობის ნორმების კუთხითაც; რაღა თქმა უნდა, ამ უკანასკნელ საკითხში საგადასახადო სამსახური ამეტებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებას და ამ საკითხზე შემოწმების აქტით დარიცხული თანხა არ არის სავალდებულოდ გადასახდელი როგორც არაკომპეტენტური ორგანოს მიერ დარიცხული და ამგვარი გადაწყვეტილება ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას“ (15, 111-113).

აღნიშნავთ, რომ კანონით „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ გამოკვეთილია დებულება იმის შესახებ, რომ კონტროლი კანონიერების უზრუნველყოფის სპეციალურ საშუალებას და სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს და სახელმწიფო კონტროლის არსი მეწარმეთა საქმიანობაზე გამოიხატება: კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობის მეთვალყურეობაზე (მაგ., თიხ-ის ტერიტორიაზე გადამამუშავებელი საწარმოების საქმიანობაზე კონტროლი); კონკრეტული დარღვევების აღრიცხვაზე, დამნაშავეთა გამოვლენასა და მათ პასუხისმგებლობაზე და სხვ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თავი VII{1} („ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე“) აწესრიგებს: მ. 21{1} – „მოსამართლის ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე“, მ. 21{2} – „მაკონტროლებელი ორგანოს შეამდგომლობას“, მ. 21{3},

„მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი“.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 214¹ მუხლის საფუძველზე, მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე ბრძანებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე გამოსცემს მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით. როგორც მუხლის დისპოზიციიდან ირკვევა, მაკონტროლებელმა ორგანომ მეწარმის საქმიანობის შემოწმებისათვის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს უნდა მიმართოს მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადნისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე; საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით; მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე და სხვ.

ზემოთ აღნიშნული მუხლის მიხედვით გამოდის, რომ სასამართლომ, პირველ ყოვლისა, უნდა შეამოწმოს არის თუ არა შესამოწმებელი მეწარმის ადგილსამყოფელი ადრული შუამდგომლობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს იურისდიქციის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო საქმეს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. „ბუნებრივია ეს დებულება ასევე ვრცელდება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მიუხედავად სამართალწარმოების უკიდურესად შეზღუდული პროცესუალური ვადისა, წინაარმდეგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება არაკომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილად და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაექვემდებარება გაუქმებას, რამდენადაც სასკ 26.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საქმის განხილვის და გადაწყვეტის უფლება მხოლოდ უფლებამოსილ სასამართლოს გააჩნია“ (15, 129).

მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების დაწყების შესახებ, რომელიც მოსამართლეს წარედგინება, საპროცესო მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც მეწარმის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული შემოწმების დაწყების საფუძველია. უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებლობის მიხედვით შუამდგომლობა სასამართლოს მეწარმის შემოწმების დაწყებამდე წარედგინება, უნდა იყოს დასაბუთებული, ანუ გამოკვეთილი ის მიზეზები, რამაც მეწარმის შემოწმების აუცილებლობა წარმოშვა, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა (მაგალითად, არის საშიშროება იმისა, რომ მეწარმე გადამალავს უაქციზო საქონელს, აღურიცხავ პროდუქციას და სხვ.), როცა, ვთქვათ, საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია, ან კიდევ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, ოღონდ სათანადო, არგუმენტირებული დასაბუთებით. ეს კანონმდებლობის დემოკრატიულ მონაპოვარს წარმოადგენს, რამეთუ მეწარმის შემოწმებას რამდენიმე ორგანიზაცია ხშირად ერთდროულად ახდენდა, ყოველგვარი დასაბუთებისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე, ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადამეტებას შემოწმებულ პირების მიერაც და ფიქსირდებოდა ქრთამის აღების ფაქტები, საბოლოოდ კი ხელი ეშლებოდა სახელმწიფოს სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაში, ზარალდებოდა ბიუჯეტი და სხვ. მოსამართლე მეწარმის შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე 72 საა-

თის განმავლობაში და აღნიშნულ შუამდგომლობას ერთპიროვნულად განიხილავს. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშეც განიხილოს შუამდგომლობა, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა და სხვ. (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მ. 21{3}; საქართველოს კანონის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, მ. 5).

მოსამართლე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შუამდგომლობას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ (რის საფუძველზეც განკარგულებას გამოსცემს), ამ შემთხვევაში შემოწმება არ ჩატარდება. მოსამართლის ბრძანების მოქმედების და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 დღეს. გამონაკლის შემთხვევებში კი დასაშვებია ამ ვადის არა უმეტეს 15 დღით გაგრძელება. ამასთანავე, თუ მეწარმის წლიური ბრუნვა აღემატება ერთ მილიონ ლარს, ზემოაღნიშნული 30 დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 40 დღით. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21{3} მუხლით დადგენილი წესით.

შუამდგომლობის წარმდგენი არ კარგავს უფლებას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს იგი, განმეორებით კი აღნიშნული შუამდგომლობის წარდგენა აღარ დაიშვება. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება მის მოქმედებას აჩერებს. მოსამართლის ბრძანება 21{3} მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლო კი გასაჩივრებულ ბრძანებას ბრძანებითვე აუქმებს. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეგნიშნავთ, რომ აღნიშნული მუხლი (21{1}) ეხება როგორც იმ მეწარმეთ, რომლებიც ადგილობრივ წარმოებას ეწევიან (ე. წ. ადგილობრივი მეწარმეები), ასევე იმ მეწარმეთაც, რომლებიც იყენებენ, ვთქვათ, შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციას, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ვაჭრობის ორგანიზებას და სხვა.

აქ საუბარი იქნება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე გადასახადის გადახდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის წესზე, რომელსაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21{21} მუხლი არეგულირებს და რომლის თანახმად, „ბრძანებას ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით“. საგადასახადო ორგანოს თხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და მასში მითითებული გადასახადის გადამხდელის ზუსტი მონაცემები. აქვე გამოვთქვამდით მოსაზრებას აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, რომ იგი პასუხს ვერ სცემს კითხვას: თუ მეწარმეს რამდენიმე ადგილას აქვს სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ რომელი ადგილის მიხედვით უნდა მოხდეს შუამდგომლობის წარდგენა სასამართლოში, ალბათ იმ ადგილის, სადაც მოხდა საგადასახადო სამართალდარღვევა, ხოლო თუ რამდენიმე ადგილას ჰქონდა მსგავს ფაქტს ადგილი, ანუ სამართალდარღვევის ადგილი მრავალია, ხოლო მეწარმე ერთი - მაშინ ალბათ იმ სასამართლოში, სადაც მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი არის, ან კიდევ დარღვევის ადგილის ადგილსამყოფლის მიხედვით და სხვ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის უნივერსალური ნაწილის მიხედვით, „სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან“. ადმინისტრაციული სამართლის ნორმებიდან გამომდი-

ნარე, „საქმეებში“ ისეთი „საქმეები“ იგულისხმება, რომელთაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას სასამართლოს წინაშე გადასახადის გადამხდელის ყადაღადებულის ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა გააჩნია. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე ბრძანებას გამოსცემს შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21{23} მუხლის („გადასახადის გადამხდელის ყადაღადებულის ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი აწესრიგებს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდის შემთხვევებს იმ შემთხვევისათვის, როცა გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ყადაღის დადებიდან 72 საათის განმავლობაში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. სასამართლო კი ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. თუკი შესაბამის ვადაში საგადასახადო ორგანო სასამართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, მაშინ ყადაღა მოხსნილად ითვლება, ხოლო თუ საგადასახადო დავალიანება არ არის აღიარებული და საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდას საფრთხე ემუქრება, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა და მისი გადაუხდელობისათვის ყადაღა დაადოს მოვალის ქონებას საგადასახადო დავალიანების არსებობისას არსებული გირავნობის - იპოთეკის) უფლების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად განხორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; გ) ქონებაზე ყადაღის დადება; დ) ყადაღადებულის ქონების რეალიზაცია; ე) საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება. აქვე გავაკეთებდით შენიშვნას, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგობას საგადასახადო ორგანო ირჩევს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსი სხვა რეგულაციას არ შემოგვთავაზებს. საერთოდ კი, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების წესს ძირითადად ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ არეგულირებს, თუმცა ასევე გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტებიც. განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებისაგან, რომლებიც სამოქალაქო გირავნობა/იპოთეკას არეგულირებენ, საგადასახადო კანონმდებლობა სხვანაირ რეგულაციას გვაწვდის, კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურსა და მარეგისტრირებელ ორგანოს ან/და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე) ელექტრონული გაცვლის შესახებ, დასაშვებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები განხორციელდეს ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულებით (გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ხელშეკრულების გასაფორმებლად) გათვალისწინებული პირობით (12, 560).

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ სა-

გადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ღონისძიებებს საწარმოთა მიმართ გამოიყენებს მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით. აღნიშნავთ, რომ აღნიშნული კანონი არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუნდებული სამეწარმეო სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხებს, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ბანკებისა; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება (12, 560-561).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლი (ნ. 8) საგადასახადო დავალიანების გადამხდელთ სთავაზობს (საგადასახადო უფროსის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებას არა უმეტეს ერთი წლით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია, ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისი. აქვე გავაკეთებდით შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა, რაც ჩვენ არადემოკრატიულ ნორმად მიგვაჩნია. თუ გავავლებთ პარალელს სამოქალაქო კოდექსსა და საგადასახადო კოდექსს შორის, დავინახავთ არსობრივ განსხვავებას, კერძოდ: თუ საკრედიტო დაწესებულებამ ვალდებულ პირს განცხადების საფუძველზე გადაუვადა სამოქალაქო ვალდებულების შესრულება (გირავნობის/იპოთეკის ან სხვა უზრუნველყოფის შემთხვევაში), მას, ბუნებრივია, სამოქალაქო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, საურავი არ დაერიცხება. პირდაპირი ნორმა, რომ საკრედიტო დაწესებულება საურავის გადახდის გადავადებას ახდენს, სამოქალაქო კანონმდებლობაში არ გვხვდება. მიგვაჩნია, რომ თუ საგადასახადო ორგანო ახდენს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებას (და გასაგებია რატომაც: გადასახადის გადამხდელს უჭირს ძირითადი ვალის - გადასახადის და ბუნებრივია ვალის გადაცილებით საურავის გადახდაც), აქედან გამომდინარე, ალოგიკურად მიგვაჩნია კანონის იმპერატივი, რომ „საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა!“ მაშ, რაღა აზრი აქვს გადავადებას, თუ მას შეღავათი არ მოაქვს გადასახადის გადამხდელისათვის; თუ იმას გულისხმობს კანონი, რომ გადასახადის გადამხდელს შეღავათი გაუკეთა, საგადასახადო ვალდებულება გადაუვადა და ეს პანაცეაა გადასახადის გადამხდელისათვის, ვერაფერი პოზიტიური განმარტება იქნებოდა კანონის მუხლისა და თან იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საურავი არ არის ძირითადი ვალდებულება, იგი აქცესორულია. ნორმის პირდაპირი განმარტებით აქცესორული ვალდებულება მიყვება მთავარ ვალდებულებას (გადასახადის გადახდას), მაგრამ დამუთანხმებით, ეს ვერაფერი საშველია გადახდისუუნარო მეწარმისათვის, მით უმეტეს, თუ მის წინააღმდეგ საგაკოტრებო საქმეც იქნება აღძრული. ეს ჩვენი კერძო მოსაზრებაა, იქნებ ვცდებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საურავის გადახდისათვის ვალდებულ პირს თუ არ ეპატიება საურავის გადახდა გადახდისუუნარობისა (და ბუნებრივია ეს საგადასახადო კანონმდებლობის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რამეთუ გადასახადები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა ქვეყანაში), გადაუვადდეს მაინც გონივრული ვადით მისი გადახდა, კანონის განმარტება კი

პირდაპირ ითვალისწინებს, რომ პირს კი გადაუვადდა საგადასახადო დავალიანების გადახდევინება, მაგრამ საურავის დარიცხვა გრძელდება. კარგი იქნებოდა, თუ 238-ე მუხლის მე-8 ნაწილის ბოლო წინადადება შემდეგ ფორმულირებას მიიღებდა: „საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით ხდება საურავის გადავადებაც“.

„საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით, სადაც პირი იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე. საგადასახადო ორგანოებს კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ გადასახადის გადამხდელის ქონება დატვირთოს საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება“.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან (საგადასახადო კოდექსის მ. 239, ნ. 1). საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ღიზინგით. [იხ. სამოქალაქო კოდექსის 576-580 მუხლები] მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შექმნილი ქონების ჩათვლით. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლით („გადაუდებელი გასვლითი შემოწმება“) გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როდესაც ვსაუბრობთ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევაზე, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: ვის მიერ, ვის მიმართ ხდება უზრუნველყოფის საშუალებების არჩევა (14, 21). ამ კითხვის პასუხი კი დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე, საჯარო-სამართლებრივ (საგადასახადო-სამართლებრივ) ვალდებულებებზე და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართლის კვინტენსენციას „პაცტა სუნტ სერვანდა“, - „ვალდებულება უნდა შესრულდეს!“ მიუხედავად მისი სამოქალაქო სამართალში ფართოდ გამოყენებისა, არანაკლები დატვირთვა შეიძლება მივანიჭოთ სამოქალაქო სამართალშიც თუ შეიძლება ითქვას, უფრო მკაცრად ფორმულირებული, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი, საგადასახადო კანონმდებლობით ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადგენილი საერთო-სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი გადასახადების უპირობო გადახდასთან (13, 23).

კანონის „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ღონისძიებები საწარმოთა მიმართ გამოიყენება მხოლოდ გადახდისუნარიანობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით.

საგადასახადო დავალიანების გაუქმებასთან ერთად უქმდება მისი გადახდევინების უზრუნველსაყოფად დაწყებული საგადასახადო კოდექსის 35-ე თავით (აღნიშნულ თავში საუბარია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის შესახებ) გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიება, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსის სხვა ნორმები განსხვავებულ წესებს არ ითვალისწინებენ, ანუ თუ პირი ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის საგადასახადო და-

ვალთანების თანხებს და შესაბამის საურავს, დადგენილი წესით გაუქმდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები (13).

მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. საჩივარი გადასახადის გადამხდელს შეაქვს ბრძანების გამოძიან სასამართლოში მხარისათვის ბრძანების ეგზეკუციის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. საჩივარი მოსამართლის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნება და იგი განიხილება შეტანიდან 10 დღის განმავლობაში. აქვე გამოვთქვამთ შენიშვნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21{23} მუხლის მე-9 ნაწილთან დაკავშირებით, რამეთუ მიგვაჩნია, რომ მუხლი ხარვეზს შეიცავს, რადგანაც, თუ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია საქმეთა სასამართლო წესით განხილვის სამი ინსტანცია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით კი საგადასახადო დავების განხილვისათვის ორი ინსტანციაა დაწესებული, ანუ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო ინსტანცია, რატომ არ უნდა მიეცეს გადასახადის გადამხდელს უფლება საკასაციო გასაჩივრების უფლება გამოიყენოს თუ მას სააპელაციო წესით საქმის განხილვა არაკანონიერად მიაჩნია. თუ კანონმდებლობა თვლის, რომ საგადასახადო დავების განხილვა ადმინისტრაციული ორგანოდან იწყება, ეს უკანასკნელი ხომ სასამართლო ორგანო არ არის, ამიტომ სავსებით მართებულად მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21{23} მუხლს დაემატოს მე-10 ნაწილიც, ფორმულირებით: „სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას საკასაციო სასამართლოში“. ასე უფრო დაცული იქნებოდა სასამართლო სისტემის დემოკრატიულობა და პირის კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 26 აგვისტოს ცვლილებებითა და დამატებებით).
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7. ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005.
8. ხაზალია ა., ადმინისტრაციული სამართალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005.
9. ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010.
10. ხარაზი ი., ხაზალია ა., საგადასახადო კოდექსის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. პრობლემები და თავისებურებანი), ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2013.
11. ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2013.
12. ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი, II ნაწილი, თბ., 2014.
13. ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „თემი-და“, №8 (10), 2013.

14. თოდუა მ., ჰუუბ ვილემსი, ვაღდებულებითი სამართალი, თბ., 2006.
15. გიორგაძე გ., კოპალეიშვილი მ., ლორია ა., ლორია ვ., ლორია ხ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2010.

Avtandil Khazaliya, Ia Kharazi

The problems of Administrative Liability for the violation of Tax-Custom's Rules
Summary

The article deals with the specificity of the Administrative responsibility for the violation of Tax-Custom's Rules, reveal of Administrative responsibility, As well as positive and negative forms (retrospective) of liability and the characteristic signs and Consideration specificity of Administrative Responsibility for the violation of Tax-Custom's Rules.

Автандил Хазалия, Ия Харazi

***Проблемы административной ответственности за нарушение
налогово-таможенных правил***

Резюме

В статье рассмотрены особенности административной ответственности за нарушение налогово-таможенных правил, выявление административной ответственности, а также позитивные и негативные формы ответственности; характерные признаки административной ответственности за налогово-таможенные нарушения, особенности рассмотрения административных правонарушений за нарушение налоговых правил и т.д.

Oleg Bazaluk, Olga Nezhyva
(Ukraine)

NEUROEVOLUTION IN NOOGENESIS

In the abstract we prove that neuroevolution in wide understanding is one of two directions of noogenesis. Along with the sociocultural evolution neuroevolution makes a basis of noogenesis.

The wide understanding of neuroevolution implies the interdisciplinary approach. In our opinion, the basis of neuroevolution results from not only the achievements of neurobiology, but also philosophy, psychology, cybernetics, and other disciplines. We offer the following periodization of history of neuroevolution.

The first stage (the end of the 19th century - the middle of the 20th century) includes deep philosophical exploration of life at the base and cultivation of spaces of life and mind deployment. The whole areas of philosophy: philosophy of life, existentialism, phenomenology, philosophical anthropology, and others were sent to cover the fundamental principles of life and mind. Wilhelm Dilthey, Friedrich Nietzsche, Franz Brentano, Karl Jaspers, Edmund Husserl, Henri Bergson, Martin Heidegger, Max Scheler, Helmuth Plessner, Jean-Paul Sartre, Pierre Teilhard de Chardin, Vladimir Vernadsky and many other philosophers have developed a strong scientific basis for consideration individual and society as fundamentally different from the world of life state of matter.

Philosophical exploration were based on and accompanied by revolutionary researches in physiology, neuroscience and psychology. During this period world leading scientific schools of neuroscience and psychology were founded. This period is represented by classical works of Ivan Sechenov, Vladimir Bekhterev, Ivan Pavlov, Santiago Ramon y Cajal, Camillo Golgi, Lev Vygotsky, Alexander Bain, Wilhelm Maximilian Wundt, Edward Bradford Titchener, Brodesa John Watson, Arthur Ragnar Granit, Keffer Hartline Holden, Edgar Douglas Adrian, Charles Scott Sherrington, Max Wertheimer, Sigmund Freud and many others.

The second stage of meaningful understanding of neuroevolution has covered the second half of the 20th century. At the second stage, thanks to large-scale production of several generations of scientists, powerful scientific breakthroughs were carried out at least in four directions:

a) In the philosophy of language. The philosophy of language (or «linguistic turn» in philosophy) combines at least four large directions in philosophy: phenomenology, hermeneutics, structuralism and post-structuralism. The philosophy of language is a study revealing a basic role of language and speech in cognition and structures of consciousness and knowledge. We will allocate the founders of the basic directions of philosophy of language:

- Gottlob Frege, Frank Plumpton Ramsey, Bertrand Russell, Saul Kripke, Richard Montague are philosophers of language analytic tradition, lying in the logical analysis;
- Ludwig Wittgenstein is a founder of an aphorism «sense is a use»;
- Peter Frederick Strawson is an initiator of creation of descriptive metaphysics;
- Ernst Cassirer created the theory of language as a part of more general theory of symbolical forms;
- Ferdinand de Saussure is a founder of structural linguistics;
- Noam Chomsky and Jerry Fodor founded syntactic, computing and knowledge-based approaches;

- Mikhail Bakhtin, Maurice Blanchot, Paul de Man, George Steiner are literary theorists whose works had philosophical character.

- Keith Donnellan, Jurgen Habermas, John Lengsho Austin, Herbert Paul Grice, John Searle are theorists focused on problems of language application;

- Michel Foucault, Jacques Derrida are authors comprehending problems of language within the limits of post-structuralism;

- Helene Cixous, Julia Kristeva, Judith Butler are researchers of language and feminists;

- Valentin Voloshinov, Rossi-Landi are theorists of language, Marxists;

- Donald Davidson, Michael Dummett are developers of the theory of value;

b) In psychology. The second half of the twentieth century is considered the heyday of the psychological science. Psychology of descriptive science has reached the level of basic, applied and practical research. Thanks to new methods and approaches, psychology has highlighted a number of important features of the structure and functions of the human brain, different social groups, as well as interpersonal and group communication. We list the authors and destinations that are actively developed in this period:

- Sigmund Freud, Alfred Adler and Carl Gustav Jung - psychoanalysis, individual and collective unconscious;

- Richard Atkinson, Lev Vygotsky, Alexander Luria, Sergei Rubinstein, Jean Piaget, George Miller, Jerome Bruner, Ulric Neisser, etc. - cognitive psychology that studies the cognitive processes of the human mind: memory, attention, feelings, reporting, logical thinking, imagination, ability to decision-making;

- Abraham Maslow, Carl Ransom Rogers, Victor Frankl, Charlotte Buhler, etc. - humanistic psychology, recognizing their primary identity as a unique holistic system, which is not something given in advance, and "open the possibility" of self-actualization, inherent only in humans;

- Stanislav Grof, Kenneth Earl Wilber II, Timothy Leary and others - transpersonal psychology that studies the transpersonal experiences, altered states of consciousness and religious experience (including under the influence of psychedelic drugs), combining modern psychological concepts, theories and methods with traditional spiritual East and West practices. Transpersonal psychology studies the nature of consciousness and human development.

- Engineering psychology, which studies the processes and means of information exchange between man and machine, as well as technical means of automation. The processes of perception and processing of operational information, decision-making in a limited time, the growth rates of erroneous actions became the most important components of engineering psychology. Classic studies in this area belong to Georgiy Schedrovitsky, Anatoliy Piskoppel, Frederick Winslow Taylor, Peter Ferdinand Drucker and others.

- Carl Iver Hovland, Muzaffer Sherif, Richard J. Petty, John Kachioppo, Shelley Chaiken and many others - the psychology of communication. Psychology of communication explores complex multifaceted process of establishing and developing contacts between people (personal communication) and groups (intergroup communication), which creates the need for joint action. It includes at least three different processes: communication (exchange of information), interaction (exchange of actions) and social perception (perception and understanding of the partner). Human activity without communication is impossible.

c) In cybernetics. Cybernetics is the science of the general patterns of control and information in different systems, whether machine, living organisms, or society, is an interdisciplinary science. It has arisen in the mid-twentieth century at the intersection of mathematics, logic, semiotics, physiology, biology, sociology. The analysis and identification of

common principles and approaches in the process of scientific knowledge is inherent in it. The most powerful theory unifying by cybernetics includes the following:

- The theory of signal transmission;
- Control Theory;
- Automata Theory;
- Decision theory;
- Synergetics;
- The theory of algorithms;
- Pattern recognition;
- The theory of learning systems, etc.

Cybernetics as a science based on the works of Norbert Wiener, Warren McCulloch, William Ashby, William Walter, John von Neumann, Heinz von Fester, Claude Shannon, Alexei Lyapunov, Victor Glushkov, Pyotr Anokhin, Alan Mathison Turing, Herman Haken, Sergei Kurdyumov and many others.

d) In neurobiology. Neuroscience explores the structure, functioning, development, genetics, biochemistry, physiology and pathology of the nervous system. Neuroscience topics are:

- Activities of neurotransmitters at synapses;
- Genes contribute to the development of the nervous system in the embryo and throughout life;
- Activity concerning simple structures of the nervous system;
- Structure and function of complex neural circuits - perception, memory and speech.

Neurobiology is based on researches Henry Hallett Dale, David Joseph Bohm, Karl H. Pribram, John Carew Eccles, Alan Lloyd Hodgkin, Andrew Fielding Huxley, Keffer Hartline Holden, Torsten Nils Wiesel, David Hunter Hubel, Merlin Donald, Risto Naatanena, Miguel Nicolelis, James Olds, Chris Frith, Stuart Hameroff, Donald Hebb, and many others.

The third stage of understanding of the neuroevolution covers the period from the end of the 20th century till the beginning of the 21st century. This is a period of intensive development of neurosciences, including neurophilosophy. As the director of the Institute of neuropsychology and cognitive processes (USA), well-known neuropsychologist Elhonor Goldberg said, «If the beginning of the twentieth century was a physics epoch, and its end a biology epoch, but the beginning of the 21st century became an era of blossoming of a science about a brain and psychic» (1, 83). The third stage involves the fundamental, applied and practical researches of consciousness; attempts to explain the neurophysiological mechanisms of higher mental functions; the first constructions of models of neuroevolution.

Nowadays neuroscience is differentiated into many areas that specialize in the study of various aspects of the structure and functions of the brain. Neuroscience is based on classic studies of Alan Hodgkin, John Eccles, Andrew Huxley, Catherine Morris, Harold Lecar, Eric Kandel, Paul Greengard, Richard Axel, Linda Buck, Elhonor Goldberg, Pyotr Anokhin, Natalya Bekhtereva, Pavel Simonov, Alexei Ivanitskiy and many others.

Modern neuroscience uses three basic techniques: traditional, genetic testing and neuroimaging to study the work of neuronal populations, nervous system, neural networks. The traditional method of studying neural organizations based on testing and comparative analysis of brain damage. Basically it performs three tasks:

1. Establishment of the laws of functioning of the brain in the interaction of the organism with the external and internal environment.
2. Neuropsychological analysis of local brain damage.
3. Checking the functional state of the brain and its individual structures.

The method of genetic testing (genetic test or DNA test) is a modern technique using sophisticated technical means to study exactly the DNA molecule. Genetic test is used primarily to

diagnose genetic diseases, but for experimental purposes it is used much more widely. There are methods that are used to identify gene products, for example, proteins, enzymes, etc. Individual methods allow us to study the microstructure of chromosomes.

Parallel to genetic testing methods noninvasive imaging of the brain has been developed. Steven Hyman notes that there are three main types of neuroimaging (2, 70-77). The first type is morphometric analysis, which works to obtain a detailed picture of the structure of the brain using magnetic resonance imaging (MRI). The second method of functional neuroimaging is drawing a map of brain activity by recording signals correlated with neuronal impulses. Basic tools are MRI and positron emission tomography (PET). The third method is based on the use of radioisotopes for localization of specific molecules in various brain regions and determination of their concentration. Neuroimaging helps to find out what violations occur in the brain in various psychiatric disorders, to diagnose the disease and to monitor the effectiveness of treatment.

Highly specialized research in neuroscience combines common strategic course of researches of neurophilosophy. Neurophilosophy not only carries out large-scale analytics achievements of neuroscience, but also covers other areas of research: philosophy of mind, analytic philosophy, cognitive psychology, and many other sciences. According to the author neurophilosophy is urged to perform the following tasks:

- to carry out the analysis and synthesis of interdisciplinary research of the human brain structure, as well as stages of its development;
 - to study the structures of the particularly evident brain functions;
 - to investigate environment implementation of the brain functions and features of their development;
 - to offer reasoned neuroevolution model based on the analysis of nonlinear continuous and increasingly complex structure of the human brain, their functions and environments of existence.
- To the best of our belief neurophilosophy develops the basis of neuroevolution designing achievements of neurosciences on planetary and cosmic processes.

Unfortunately, nowadays neurophilosophy is engaged in carrying out of some other problems.

Modern neurophilosophy is based on classical researches of Patricia Churchland, Stanislas Dehen, Daniel Dennett, John Searle, Jerry Fodor, Ned Block, David Chalmers, Herbert Simon, Allen Newell, Richard Dawkins. It also includes revolutionary for its time studies of Skinner and Quine, Wittgenstein and Ryle, Chomsky and Popper, Sellars and Putnam, Arbib and Nagel, Clarke and Penrose, McGinn and Richard Rorty, Gould and Churchland and many others.

Literature:

1. Goldberg Elhonon. An operating brain: On conversation materials in the program «Obvious - improbable». / «In the science world», January 2004. Moscow: In the science world, 2004.
2. Хайман Стивен. Diagnostics of diseases / «In the science world», December 2003. M: In the science world, 2003.

ოლეგ ბაზალუკი, ოლეგ ნეჟივა
ნეიროევოლუცია ნოოგენეზში
რეზიუმე

სტატიაში დამტკიცებულია, რომ ნეიროევოლუცია ფართო გაგებით არის ნოოგენეზის ორი მიმართულებიდან (ადამიანისა და საზოგადოების ევოლუცია) ერთ-ერთი მიმართულება. სოციოკულტურულ ევოლუციასთან ერთად ნეიროევოლუცია უზრუნველყოფს ადამიანისა და საზოგადოების უწყვეტ განვითარებას. ნეიროევო-

ლუციის საფუძველია არა მხოლოდ ნეირობიოლოგიის მიღწევები, არამედ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კიბერნეტიკისა და სხვა დისციპლინების მიღწევებიც. ნაშრომში მოცემულია ნეიროევოლუციის ისტორიის პერიოდიზაცია, საიდანაც გამომდინარეობს ძირითადი დასკვნა: ნეიროევოლუცია – ეს არის ადამიანის ტვინის (ფსიქიკის) სტრუქტურის უწყვეტი და არაერთხაზოვანი გართულება.

Олег Базалук, Ольга Нежива
Нейроэволюция в ноогенезе
Резюме

В статье авторы доказывают, что нейроэволюция, в широком понимании, является одним из двух направлений ноогенеза (эволюции человека и общества). Наряду с социокультурной эволюцией нейроэволюция обеспечивает непрерывное развитие человека и общества. Основу нейроэволюции составляют не только достижения нейробиологии, но и философии, психологии, кибернетики и других дисциплин. Авторы предлагают периодизацию истории нейроэволюции, из которой и следует их основной вывод: нейроэволюция - это непрерывное и нелинейное усложнение структуры мозга (психики) человека.

მარიამ ფრიდონაშვილი (საქართველო)

ფემინისტური ხელოვნება

ახალი რეალობა და ხელოვნებისთვის უჩვეულოდ უცხო განზომილება ბოლო ორი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებელ ჭრილში განიხილავს ხელოვნების ისტორიას, ამ სივრცეში არსებულ კანონებს და მარკეტინგულ გათვლებს კურატორების, კოლექციონერებისა და გალერისტების მხრიდან; საზოგადოდ ცნობილ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც დროსა და სივრცეში, მისი არსებობის საწყისიდან დღემდე, სახეცვალებადია. თანამედროვე, კონცეპტუალური ხელოვნების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებს იკვლევს, იაზრებს და შემდგომში უკვე წარადგენს არტისტი მაყურებლის წინაშე, სადაც აპრიორი იდეაა და სხვა დანარჩენი გამომსახველობითი, იდეის დაქვემდებარებაში. ხელოვნების ისტორიაში ის უმრავლესობა ცნობადი ფიგურებისა, რომლებსაც ან ისტორიის წიგნებიდან ამოვიკითხავთ, ან მათ ნამუშევრებს დღემდე თუნდაც ინტერნეტით ყველგან წავაწყდებით, ყოველთვის თვითმყოფადად, თავისუფლად საუბრობდნენ და ასახავდნენ იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ დროის ადეკვატურობისა და გარემოს ლოგიკური აღქმის გარდა, ისინი საუბრობდნენ იმ ღირებულებებზე, რომლებიც მანამდე იარსებებს ჩვენს ქვეცნობიერებაში, სანამ ადამიანის არსებობა დაიშვება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების უამრავი წარმომადგენლის ხილვა და ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, ან მუზეუმებსა და სხვადასხვა გალერეებში მათი ნახვა, მათ რიცხვში თითქმის არ არსებობენ ქალი ხელოვანები. სად არიან ქალი არტისტები, როდესაც ყოველწლიურად ასე მაშტაბურ სახეს იძენს ხელოვნების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. რატომ მოახერხა ქალთა მხოლოდ 3%-მა გზა გაეკვალა და სიტყვის თავისუფლება მოეპოვებინა. რა როლი აკისრიათ ამ დროს კურატორებს, სოციალურ სტერეოტიპებს და დამოკიდებულებას და რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ თანასწორი უფლებებით არსებობდნენ კაციც და ქალიც არა მარტო ზოგადად, სოციალურ თუ იურიდიულ, ან პოლიტიკურ ასპექტში, არამედ ერთ კონკრეტულ სფეროში, ხელოვნებაში, რომელიც ისტორიის მანძილზე თავისუფლების უწყვეტი ძიებისკენაა მიმართული. რას წარმოადგენენ ქალები საზოგადოდ ხელოვნების ისტორიაში? ქალის როლი აქ წარმოდგენილია იქამდე, სანამ კაციდან გამომდინარეობს მისი არსებობის დაფიქსირება, აქ იგულისხმება მუზა მამაკაცი ხელოვანისთვის, ნამუშევრებში წარმოჩენილი როგორც დედა თავის პატარასთან, ან/და მოღველი სტუდიაში. ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ საგამოფენო სივრცეში პოპულარობით სწორედ ის ნამუშევრები სარგებლობენ, სადაც ქალი ზემოხსენებული თვისებებით არის ისტორიას შემორჩენილი. ასეთ ნამუშევრებში ქალი ყოველთვის მისი პერსონალურობისა და დამოუკიდებლობის მიღმა რჩება, ის მხოლოდ მისი სხეულის გაფეტიშების და სექსუალობის მსხვერპლია.

დღეს ფემინიზმი ცნობილია როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც საჭირო ცვლილებები შეიტანა სოციალურ უთანასწორობაში სქესის დისკრიმინაციის კუთხით, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტატუსის ამაღლება და ბრძოლა უფლებების გათანასწოებისათვის, თანაბარი შესაძლებლობებისა და მათი რეალიზებისთვის. ფემინისტური აქტივობების ისტორია იწყება მე-19 საუკუნიდან და მისი იდენტიფიცირება ხდება სამ, ე.წ. ტალღად. ერთ-ერთი პირველი ფემი-

ნისტური ნაბიჯი და მანიფესტი ქალთა თავისუფლების მოთხოვნით ევროპაში ეკუთვნის მერი ვოლსტონკრაფტს – „Vindication of the rights of woman“ (1792), დაიწერა ფრანგული რევოლუციის გამოღვიძებისას. მეორე ეკუთვნით ვირჯინია ვულფს „A room of one’s own“ (1929) და სიმონ დე ბევეუარის “The second sex” (1949). ბოლო ორი ავტორის ნაშრომები შემდეგში საფუძვლად ედება მეორე ტალღის რადიკალურ ფემინიზმს. სოციალისტ ფემინისტებმა – როზა ლუქსემბურგმა, ალექსანდრა კოლონტიმ და ემა გოლდმენმა საფუძველი ჩაუყარეს ფემინისტური მეორე ტალღის წარმოშობას, ისინი იბრძოდნენ როგორც პოლიტიკური, ისე პირადი სივრცის უზრუნველყოფის ასპარეზზე. ეს უფლებები იყო აბორტი, განქორწინება, არამონური ურთიერთობები და სექსიზმი როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალისტურ მოძრაობაში.

ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ და აუცილებელი იურიდიული უფლებებისთვის ბრძოლა პირველმა ფემინისტურმა ტალღამ დაიწყო და მისი მთავარი იმპულსი ხმის მიცემის უფლების მოთხოვნა იყო. მას შემდეგ იყო მომდევნო ორი ტალღა, რომელიც ყოველ ჯერზე უფრო ძლიერდებოდა და მეტ რადიკალიზმს იძენდა. საზოგადო მორალი და სტერეოტიპები კიცხავდა ამ კონკრეტული ქალი აქტივისტების გამოსვლებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არტისტული ქმედებების მახასიათებელი იყო. სქესის კულტურისმიერმა მნიშვნელობამ, უპირატესობის მინიჭებამ იმ აქცენტზე, რომ ბიოლოგიური სხვაობაა კაცსა და ქალს შორის, გამოიწვია გენდერის, როგორც ლოგიკურად გამართლებულის უარყოფა. სიმონ დე ბოვეუარი საკუთარ წიგნში – „მეორე სქესი“ – აღნიშნავს, რომ მამაკაცი თავის თავს უწოდებს „მე“-ს, ხოლო ქალს „სხვა“-ს. ბოვეუარი ამას იმით ხსნის, რომ ჩვენ, როგორც სოციალური არსებები, სქესის იდენტიფიკაციას ჩვენივე ბიოლოგიური, საბაზისო მონაცემებით ვახდენთ. წიგნს „მეორე სქესს“ ფემინიზმის კლასიკურ ნაშრომად მოიხსენიებენ.

მეორე ფემინისტური ტალღა “The personal is political”, რომელიც ქალთა ლიბერალიზაციის მოთხოვნით ბევრად რადიკალურ სახეს იძენს, იწყება გვიანი 1960-იანი წლებიდან. ტალღას მემარცხენე იდეოლოგია უდევს საფუძვლად, სტუდენტური საპროტესტო გამოსვლები, პოსტომის დასავლური საზოგადოება, ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეანი, ლგბტ მოძრაობები და ანტირასისტული გამოსვლები. მეორე ტალღა აკრიტიკებდა კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს, მათი აქცენტები ფოკუსირებული იყო მუშათა კლასზე, ფერადკანიანებზე, ქალებსა და ჰომოსექსუალებზე. მანიფესტმა „The BITCH manifesto“ (ფრემან, 1968), რობინ მორგანის პუბლიკაციებმა Sisterhood is powerful (1970) შექმნა გავლენიანი ექსპრესია შეერთებული შტატების დიასახლისებში. მათი ძირითადი „რწმენა“ იყო, რომ სოლიდარობით და გაერთიანებული ძალებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოახდენდნენ მილიონობით ქალის ცხოვრებაში. რადიკალური ფემინიზმი თეორიულად ნეო მარქსიზმსა და ფსიქონალიზს ეყრდნობა, ჯულიეტ მიჩელის The subjection of woman-სა (1970) და შულამით ფაირსტონის The dialectic of sex: the case of feminist revolution-ს (1970). ისინი ამტკიცებდნენ, რომ პატრიარქატი ბურჟუაზიული სოციუმის განუყრელი ნაწილია და სქესის დიფერენციაცია იმაზე ბევრად ფუნდამენტურია, ვიდრე კლასობრივი ან რასობრივი ჩავრისკენ მიდრეკილება. ისინი ასევე განიხილავდნენ ქალის ნიშანს, პირველად სოციალურ სტატუსს ოჯახსა და რეპროდუქციაში, დაფუძნებული გადაუხდელი შრომისთვის დიასახლისობაში, დედობრივ პროდუქტიულობაში და მათ ფუნქციას სამუშაო ძალის მარაგში. ახალი მემარცხენეები, სოციალისტ-მარქსისტები იწყებენ ქალის უფლებების დაცვას არა მარტო სახლში, არამედ მის გარეთაც. ქალი ან სახლში იყო პატარა სისტემის – ოჯახისგან ექსპლუატირებული, ან სახლს გარეთ

– სამსახურში, დაბალ ანაზღაურებაზე ხანგრძლივი სამუშაო საათებით და, ხშირ შემთხვევაში, მძიმე პირობებით სხვადასხვა ტიპის სამუშაოზე.

მეორე ტალღამ წარმოშვა საკმაოდ მნიშვნელოვანი სიახლე – ფემინიზმი არ არის ერთი, ის ბევრია. ერთია, რომ შენ ხარ ფემინისტი და მეორე საკითხია, რომელ ფემინიზმს იზიარებ შენ. ამ კითხვიდან იწყება მესამე ფემინისტური ტალღაც.

მემარცხენე ფემინისტები გამოსავალს ხედავდნენ კაპიტალიზმის ნგრევაში და მაშინ, როდესაც სახელმწიფოში სოციალიზმი დამყარდებოდა, ქალებს თავისუფალი ემანსიპაციის საშუალება მიეცემოდათ; ისინი ქმრებისა და ოჯახებისგან დამოუკიდებლად შეძლებდნენ საკუთარი ცხოვრების წარმართვას დაფასებულ სამუშაო პირობებში. ამის შემდეგ თავისთავად დაიმსხვრეოდა სქესის როლები და მითები სილამაზისა თუ ესთეტიკის შესახებ.

ლიბერალი ფემინისტების მოძრაობა მთლიანი დასავლეთის მასშტაბით ინსპირირებული იყო ბეტი ფრიდენის ცნობილი წიგნით „The feminine mystique“ (1963). ლიბერალ ფემინისტებს შედარებით განსხვავებული ხედვის წერტილი ჰქონდათ. ისინი სექსიზმის გასაჯაროების აუცილებლობაზე საუბრობდნენ, რომ მომხადრიყო ფაქტებისა და კონკრეტული პიროვნებების სოციალიზაცია, მომხადრიყო რეპრეზენტირება საჯარო ინსტიტუციებში. ამ დროს დასავლელ ქალებს არ ჰქონდათ სოციალური ძალა იმისთვის, რომ პოლიტიკური ზეწოლისგან ყოფილიყვნენ თავისუფალნი.

60-იან წლებში შტატებში საზოგადოებამ მნიშვნელოვნად მოახდინა საკუთარი უფლებების ოკუპირება, ისინი იყვნენ მეტად ემანსიპირებულები და დემოკრატიზაციის პროცესებში ჩართულნიც, მაგრამ ამის პარალელურად ხელოვნება მაინც იზოლირებული და ეგოცენტრული დარჩა. ამ დროს არტისტებმა დაიწყეს ქუჩაში გამოსვლები, კედლების დამსხვრევა, სექსიზმის რასიზმის გახმაურება, საპროტესტო არტაქტივობები, ზოგნი სტუდიებში ერთიანდებოდნენ და საუბრობდნენ პრობლემის გადაჭრის გზებზე, მათ თითქმის ვერც შეამჩნიეს ის ცვლილებები, რომლებიც მათმა ქმედებებმა დროთა განმავლობაში მოიტანა. ამ დროს მინიმალიზმი ძალიან „მოდური“ მიმართულება იყო, რომელიც მთლიანად თეთრკანიან მამაკაცებს ჰქონდათ მონოპოლიზირებული, ეს უკანასკნელი ელიტარულ ხელოვნებად ითვლებოდა. ამ დროს ჩამოყალიბდა დიფერენცია ხელოვნებისა და გაჩნდა სიტყვები – მაღალი და დაბალი ხელოვნება, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნების ყველა ის გამოვლინება, რომლებსაც აერთიანებდნენ ცნებაში „მაღალი ხელოვნება“. ის არასდროს ყოფილა პოლიტიკურად დამოუკიდებელი, რაც შეიძლება სავსებით ლოგიკური ყოფილიყო ამერიკელი თეთრკანიანი მამაკაცების კომფორმისტული დამოკიდებულებიდან გამომდინარე. მსოფლიო წინ მიდიოდა, სიახლეს სიახლე მოჰყვებოდა. ხელოვნება კი რაღაც ეტაპზე გაიყინა, რევოლუციური ქმედებების საჭიროება თვალნათლივი გახდა; ამავედროულად, ქალი-მხატვრების ისეთი დეფიციტი იყო, რომ მათ თითქმის ვერც ერთ მუზეუმში ან გალერეაში ვერ გადააწყდებოდით.

21-ე საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტირაჟირების შესაძლებლობა, კონკრეტულად, როდესაც მე ჩემს სათქმელს ვწერ, ვაკეთებ ან ვხატავ, მის პრეზენტირებას ვახდენ ქსელში, ის ადვილად და სწრაფად შეიძლება გავრცელდეს მსოფლიო მასშტაბით. ძირითადად ეს ის შემთხვევაა, როდესაც მუზეუმები თუ გალერეები არ მიიჩნევენ საჭიროდ მის გასაჯაროებას, ჩვენებას. მაგრამ იმისთვის, რომ ინტერნეტში, სოციალურ ან მედია სივრცეში ვიყო პოპულარული, ჩემი ავტორიტეტის შკალას აწესებს სხვა ადამიანების ჯგუფი. რომ არა ეს, ჩემი გარჯა ინტერნეტ-სივრცეში თითქმის ყოველ ჯერზე უშედეგოდ დასრულდება. რამდენად შეიძლება ჩემმა პროტესტმა, რისი გამოხატვისთვისაც მე ვირჩევ სხვადასხვა მედიას, პლაკატებს, ტრადიციულ ფერწერას, ფოტოგრაფიას,

ლოზუნგების პროექციებს და სხვა, ვერ მოახდინოს ვიწრო წრის გარღვევა და ტირაჟირება? ვინ განაპირობებს ან ვინ განაგებს იმ სფეროს, რომელიც საჯარო თავისი არსით და მნიშვნელობით, რომელიც თავისუფალია და თვალხილული ყველასთვის, ცენზურისდა მიუხედავად? შეიძლება თუ არა, ან რამდენად სწორია ის, რომ ხელოვნებაში თანამედროვე სამყაროს მოწინავე ფსევდო-დემოკრატიულ ქვეყნებში გენდერის პრობლემები და დისკრიმინაციაა ქალი არტისტების მიმართ.

პირველი კითხვა, რასაც ფემინისტი მხატვარი დასვამს, არის – რა ვიცი ქალი მხატვრების შესახებ? მომდევნო საკითხებია: რატომ არსებობს ცალკე გამოცემები ქალი ავტორებისა ან/და ვის ახსოვს სკოლაში, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ფემინისტი ქალების შესახებ, უფრო კონკრეტულად კი, ქალი მხატვრების შესახებ? გაკვრით მაინც განხილულიყო ლექციაზე მათი ნამუშევრები.

National museum of women in the art-is proeqti get the fact ასაჯაროებს შემაშფოთებელ სტატისტიკას, რომელიც თვალნათლივს ხდის, თუ რა როლი აქვს ქალს ხელოვნებაში ან არსებობს თუ არა საერთოდ ეს როლი და რა დამოკიდებულებაა ქალი არტისტებისადმი როგორც სოციუმში, ისე კონკრეტულ არტსივრცეში. 2000-იან წლებში მხოლოდ 28 პროცენტმა ქალებისა შეძლო თავი წარედგინა ევროპის გალერეებში, ისიც მხოლოდ ექვს საგამოფენო სივრცეში ლოკალიზდა. H.W. Janson's History of Art-ში მხოლოდ 27 ქალი მხატვარია წარმოდგენილი, როდესაც ეს წიგნი ხელოვნების ისტორიის ათვლას იწყებს ნულიდან. ქალთა ხელოვნების მუხეუმი აქვეყნებს ასევე კაცი მხატვრების დამოკიდებულებას ქალების ნამუშევრებისადმი, მაგალითად, მათ დააფიქსირეს შემთხვევა, როდესაც მხატვარმა და მასწავლებელმა ჰანს ჰოფმანმა „კომპლიმენტი“ გაიმეტა კოლეგა ლი კრასნერისთვის – „ეს ნამუშევარი იმდენად კარგია, რომ ვერც მიხვდები, თუ ქალის ხელისგანაა შესრულებული“. პროექტში ასევე საუბარია დასავლურ გრანტებზე, როგორ ხდება მათი გადანაწილება და რამდენად სწორად ფასდება კონკრეტული არტისტი ან/და ხდება თუ არა დისკრიმინაცია სქესის კუთხით.

რა არის ფემინისტური ხელოვნება? კრიტიკოსები და თეორიტიკოსები კამათობენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა როლი აქვს ფემინისტურ ხელოვნებას. არის თუ არა ეს ეტაპი ხელოვნების ისტორიაში, უბრალოდ, ფემინისტური მოძრაობა, რომელიც პოზიციას ხელოვნების საშუალებებითაც აფიქსირებს, თუ იაფფასიანი გზა საქმის კეთებისთვის. ზოგიერთი მათგანი ფემინისტურ ხელოვნებას აღარებს სურეალიზმს, აღწერს მას როგორც არა ხელოვნების ერთ-ერთ სტილს, არამედ გზას ხელოვნების საკეთებლად. მის გარშემო უამრავ კითხვასთან ერთად არსებობს საფუძვლიანი და გაგრძელებული მოსაზრება, რომ ფემინისტურ ხელოვნებას დიდი და ღრმა კავშირი აქვს პოსტმოდერნიზმთან. ამასთანავე, ფემინისტური ხელოვნება ადასტურებს და აცხადებს იმას, რომ მნიშვნელობა და გამოცდილება იმდენადვე ფასეულია, როგორც ფორმა. პოსტმოდერნიზმა უარყო მკაცრი ფორმები და სტილი მოდერნისტული ხელოვნებისა, ფემინისტურმა ხელოვნებამ ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ისტორიულად დასავლური კრიტერიუმები – კაცის „უნივერსალურობა“.

Guerrilla girls-მა საჯარო გახადა სტატისტიკა გალერეებისა და აჩვენა პროცენტული მაჩვენებელი სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში არსებული სქესისტური დამოკიდებულებისა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ხელოვანი კაცებისა და ქალების რაოდენობა ნახევარი ნახევარზეა, აქედან ქალების მხოლოდ 3% გახდა ცნობილი და მიეცა საშუალება საკუთარი ნამუშევრების რეალიზებისა გავლენიან გალერეებსა და კურატორებთან. ფაქტია, რომ 78-დან 89 პროცენტამდე მსოფლიოს ყველაზე ცნობილი გალერეებისა უკავიათ მამაკაცებს (Brainstorm project, 30 reason to

be MAD_guerrilla girls). მათ დასვეს საკითხი – სჭირდება თუ არა ქალს არტისტის სიშიშველე იმისთვის, რომ მოხვდეს მეტროპოლიტენ მუზეუმში. ამასთან, ფაქტია, რომ მუზეუმში წარმოდგენილია 3 პროცენტზე ნაკლები ქალი არტისტი, თუმცა 83 პროცენტი უკავია ისეთ ნამუშევრებს, სადაც შიშველი ქალის ფიგურებია გამოსახული. ისეთი ცნობილი გალერეები, როგორებიცაა Gagosian, White cube და სხვები აღმოჩნდნენ იმ სექსისტური გალერეების სიაში, რომელიც პარტიზანმა გოგონებმა გამოაქვეყნეს.

პირველი გახმაურებული სკანდალი და საზოგადოებისთვის მრავალმნიშვნელოვნად შოკისმომგვრელი ნამუშევარი დაკავშირებულია 1974 წელს ჟურნალ „არტფორუმის“ გამოცემასთან. ახალგაზრდა არტისტი ქალი ლინდა ბენგლისი ფოტოზე შიშველი, პრიალა სხეულით და ხელში ფალოიმიტატორით გამოჩნდა, ავტორი თავადაც ვერ იწინასწარმეტყველებდა მსგავს რეაქციებს. მან ფემინისტური ხელოვნების ჟურნალში კრიტიკაც დაიმსახურა, სადაც ქალის სხეულის დაკნინებაში, დაცინვაში დაადანაშაულეს. დაისვა კითხვა – იყო კი ეს უკანასკნელი ფემინისტური ხელოვნება? თავად ავტორი თავის ნამუშევარზე საუბრობდა, რომ ეს იყო პროტესტი ფალოცენტრიზმისა, პორნოინდუსტრიისა და ფალოიმიტატორში მამაკაცურ მნიშვნელობას გულისხმობდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ნამუშევრის გამოჩენისთანავე მისმა პოპულარობამ განაპირობა ის, რომ დაიწყო საუბარი ფემინისტური ხელოვნების რაობაზე. შაზოგადოდ, ქალი არტისტები თავადვე ირჩევენ როგორც მეთოდს სასაუბრო ენისა (ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა მედია, ტრადიციული ფერწერა, ვიდეო, ფოტო და ა.შ.), ასევე პოზიციას და აქცენტებს.

გავრცელებული წარმოდგენები, ქალის სექსუალობის ფემინიზაცია და დისკრიმინაციის წახალისებები 60-იან წლებში ცნობიერის აფეთქებასავით აღწევს ხელოვნებაში. გენდერის საკითხები და სექსის როგორც რასისტული, ისე სოციალური პრობლემები თავისუფლად იწყებს ლავირებას ლიტერატურაში, კინოში, მხატვრობაში, პერფორმენსში და ა.შ. მთავარი იმპულსი მეორე ფემინისტური ტალღისა, რომელიც დღემდე ყველაზე დიდ და გავლენიან მსოფლიო მოძრაობად ითვლება პოსტომის პერიოდში, ეს იყო მილიონობით ფრუსტრირებული ქალი; მათ დაიწყეს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს.

ხელოვნებათმცოდნე ლინდა ნოჩლინმა 1971 წელს გამოაქვეყნა ესე არტნიუსში სათაურით „Why are there no great women artists?“ ის ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ინსტიტუციონალურმა სტრუქტურამ შეუძლებელი გახადა ქალი მხატვრების წარმატებულობა. მან მოუწოდა ქალებს, გაეკეთებინათ „ნახტომი უცხო სივრცეში“ და აუცილებელი რისკების გათავისება დიდების მოსაპოვებლად. ფემინისტი არტისტი ჯუდი ჩიკაგო და მირიამ შაპირო ამავე წელს პირველები იწყებენ ფემინისტური ხელოვნების კურსის წარმოებას კალიფორნიის უნივერსიტეში, ისინი მალევე ხდებიან Womanhouse-ს დამაარსებლები სტუდენტებთან კოლაბორაციით.

ფემინისტებმა მალე აითვისეს სხვადასხვა მედიები, ტექნოლოგიები. ისინი იყენებდნენ ვიდეო ინსტალაციებს. დარა ბირნბაუმი იყო პირველი, რომელმაც მასმედიის კადრები გამოიყენა თავის ნამუშევარში. ერთ-ერთი პირველი ფემინისტური ვიდეო არტი Wonder Woman (Technology/Transformation: Wonder Woman, 1978-1979) იყო, რომელიც მიითვისეს სატელევიზიო შოუდან იგივე სახელწოდებით. ან/და მარტა როსლერის „Semiotics of the Kitchen“.

პროგრესმა, რომელიც 60-70-იან წლებში სწრაფად ვითარდებოდა, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები ქალებს, ასე თუ ისე, გაუზარდა, მაგრამ გათანაბრებული მამაკებთან ნამდვილად არ ყოფილა. დროთა განმავლობაში თითქოს იმედი იკარგებოდა. 1985 წელს სახელოვნებო ასპარეზზე ჩნდება ჯგუფი The Guerilla Girls

და დღემდე აქტიურად არიან ჩართულები ხელოვნებაში თანასწორუფლებიანობის მინიჭებისთვის ბრძოლაში. ეს პერიოდი მთლიანად იყო მოწოდება საზოგადოებისკენ გენდერული იდენტობის აღიარებისთვის. საბოლოო ჯამში, 70-იანი წლების აქტივობებმა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნამუშევარი დაუტოვა მსოფლიო ხელოვნების ისტორიას. ამის შესაჯამებლად, 2006 წელს ლოს ანჯელესის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, კონი ბატლერის კურაციით, კეთდება გამოფენა სახელწოდებით WACK! გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 70-იანი წლებიდან 450 ნამუშევარი. ეს ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენდა და თავად კურატორმაც საკუთარ გაბედულ ნაბიჯზე აღნიშნა, რომ ეს იყო კარიერული სუიციდი. ეს იყო ძალიან საფრთხილო, რადგან არაფერი იცოდა, როგორ მიიღებდა საზოგადოება ამ სოციალურ-პოლიტიკურ ხელოვნებას, მით უმეტეს, როცა მხოლოდ ქალები იყვნენ არტისტები. გამოფენამ წარმატება მოიპოვა და მოხდა მისი კიდევ რამდენჯერმე რეპრეზენტირება სხვადასხვა ქალაქში. 70-იან წლებში შეიქმნა ასევე ჯუდი ჩიკაგოს ცნობილი მონუმენტური ნამუშევარი „The Dinner Party“, სადაც გაწყობილ მაგიდაზე, თევზებზე ვაგინის იმიტაციები იყო გამოსახული. ეს ნამუშევარი აღნიშნავდა ქალის სექსუალობას, რომელიც განიხილებოდა როგორც თვითმყოფადობისა და ძალის სიმბოლო. „The Dinner Party“ მეორე ფემინისტური ტალღის სამარკო ნიშნად იქცა. ჯუდი უამრავ ქალს მისცა აზრის თავისუფლად გამოხატვის მაგალითი.

ფემინისტი მხატვრები ცდილობდნენ შემდგარიყო დიალოგი მნახველსა და ნამუშევარს შორის, ქალების პერსპექტივის გაცნობიერების და განვითარების საფუძველზე. ხელოვნება არ არის ესთეტიკური აღფრთოვანების ობიექტი, სწორ შემთხვევაში, ხელოვნება სოციალურ-პოლიტიკური ლანდშაპტის ამსახველი, ცვლილებების მაპროვოცირებელია. სწორედ ამ გზით არსებობს ფემინისტური ხელოვნება, რომელიც საზოგადოებას ნელა „წამლავს“ თანასწორობის იდეის სიდიადით. ფემინიზმამდე ქალი მხატვრები, მხოლოდ სქესის გამო დაწუნებულები, ვერ ხვდებოდნენ პატრიარქალურ წესრიგში. აქედან გამომდინარე, შეიქმნა ალტერნატიული სივრცე, სადაც ქალები ხილვადები გახდნენ. ცოდნის გაცვლის შესაძლებლობები გაამდიდრდა, როდესაც ოფიციალური სასწავლებლები შექმნეს. მათი დამოუკიდებელი ქმედებები, რომლებიც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, დღემდე დიდ ინსპირაციას აძლევს თანამედროვე ხელოვნებას. განსხვავება მოიძებნება სასაუბრო ენის ფორმულირებაშიც და მის ვიზუალირებაშიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში ნებისმიერი ქმედებისა თუ აქტის საფუძველი პროტესტია. თავად პრეცედენტი, როდესაც ძალიან პოპულარული გახდა პირადის გასაჯაროება, ბრიტანელმა არტისტმა, ტრეისი ემინმა დაუშვა (Young British Artists). ტრეისი საკუთარ ემოციებს ყვება, ახდენს საკუთარი გამოცდილების, ისტორიის ნამუშევრად გადაქცევას, ტკივილებიდან და სექსუალური ცხოვრებიდან გამომდინარე. ტრეისის პირველი ნაბიჯები უკავშირდება „კარვებს“ სახელწოდებით „ყველა, ვისთანაც მე ვწოლილვარ“ (1997) – საგამოფენო სივრცეში ჩადგმული კარვები, შიგნიდან დაწერილი სახელები და გვარები. აქ მოიძებნებოდა მისი ტყუპისცალი ძმა და მისი პარტნიორებიც. ტრეისის მომდევნო ნამუშევარმა უფრო უარყოფითი რეაქციები გამოიწვია. მან გამოფენაზე წარადგინა თავისი ლოგინი (1999), რომელიც ხელშეუხებლად, პირდაპირ გამოიტანა მაყურებლის წინაშე. არეულობა და უწესრიგობა გადაფარა მისმა ჭუჭყიანმა საცვლებმა, რომლებიც ლოგინზე იდო, ალკოჰოლურმა სასმელებმა, ძირს დაყრილმა, გამოყენებულმა პრეზერვატივებმა და სხვა. ეს იყო ტრეისის რეალობა, ის იყო სუფთა და გულწრფელი, ტრეისი აკეთებდა ნამუშევრებს პირად განცდებზე, იგი შეეხო თავის ორ აბორტსაც, ქმარსაც მიუძღვნა ნამუშევარი სახელად Fuck you eddy. მისი ცნობილი სერიებიდან მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ნეონისგან გაკეთებული

მარტივი წინადადებები, რომლებიც ძირითადად სასიყვარულო ხასიათის მატარებელია. ტრეისიმ დაიწყო ის ცვლილებები, რაც უამრავი ქალისთვის ტაბუდადებული იყო, მან ღიად დაიწყო ლაპარაკი ხალხთან იმაზე, რაც „სამარცხინოა“, რაც ზოგადად ადამიანთა სტატუსს ლახავს ოჯახთან და სოციუმთან დამოკიდებულებაში. 2011 წლიდან ტრეისი კითხულობს ლექციებს ღონდონის სამეფო აკადემიაში და ის აკადემიის დაარსებიდან (1768) დღემდე მეორე ქალია, რომელიც სამეფო აკადემიაში იქნა მიწვეული.

ამერიკელი კონცეპტუალური ხელოვნების წარმომადგენელი, 1945 წელს დაბადებული, ბარბარა კრუგერი ტრეისი ემინისგან განსხვავებულ აქცენტებს აკეთებს. ბარბარას ახასიათებს სოციალური, პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენა, ტყუილის გამოაშკარავება, გენდერის საკითხების განხილვა. კრუგერი მუშაობდა სხვის ფოტოებზე, ფოტოზე კი აკეთებდა წარწერებს (სლოგანის ტიპის) ან სხვადასხვა იმიჯთან ახდენდა შერწყმას. ბარბარა ცნობილია თავისი რადიკალიზმით. მისი ნამუშევრებია მერლინ მონროს ფოტო წარწერით Not enough stupid, შავ ფონზე თეთრად დაწერილი ტექსტი You want it, you buy it, you forget it და ყველაზე ცნობილი ფოტო, რომელზეც მამაკაცის პორტრეტია საჩვენებელი თითით ტუჩზე, სიჩუმის მოთხოვნის უსტიკულოდ და ბარბარას საავტორო წარწერა – Your comfort is my silence. ამ შემთხვევაში ბარბარა კონკრეტულის განზოგადებას ახდენს პოლიტიკურ ასპექტში. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი განიხილავს კაპიტალისტურ წარმოდგენებს იდეალთან დაკავშირებით. აქ ის გულისხმობს როგორც ქალს, ისე ცხოვრების წესსა და პოლიტიკურ კურსსაც.

მიუხედავად იმის, რომ დღევანდელი რეალობა მნიშვნელოვნად პროგრესშია პირველი ფემინისტური მოძრაობიდან, ერთი შეხედვით, ქალებს ბარიერი არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი ნამუშევრების წარდგენისთვის, რადგან ამის როგორც საშუალება, ისე შესაძლებლობაც არსებობს. მაგრამ ამ საკითხის ზედაპირულობა მდგომარეობს შემდეგში – მიუხედავად იმისა, რომ კურატორებს შეიძლება დიდი სიაც უდევთ ცხვირწინ ქალი არტისტებისა, ისინი არჩევენ ისევ მათ, ვის შესახებაც რაღაც სმენიათ, ესენი კი უმეტესწილად მამაკაცები არიან. ქალების არაპოპულარობას ამ სფეროში აუქციონებზეც ეფინება ნათელი, ისინი ინტერესს მიღმა რჩებიან და, შესაბამისად, ძვირადღირებული არტისტების სიაში მათი სახელები არ მოიძებნება.

ამ წლებმა მოახდინა სოციალური აქტივობების პროვოცირება, ფემინისტური კონტექსტის იდენტიფიკაცია. შედეგად, ცალკე არსებობს ქალი არტისტების რამდენიმე მუზეუმი, გალერეები, რომლებიც სივრცეს მხოლოდ ქალებს უთმობენ ან გენდერის ნიშნით დისკრიმინირებულ ხელოვნებს და გამოცემები, სადაც ცალკე განიხილებიან ქალი ხელოვნები; მაგრამ იშვიათად ეს კონკრეტული ქალები საერთო გამოცემებში ან საერთო გამოფენებში, ერთი მუზეუმის ჭერქვეშ იხილოთ იქ, სადაც კაცებს სრული მონოპოლია აქვთ. ფემინისტური ხელოვნება – ეს არ არის მდიდრულ სახლებში საამაყოდ გამოსაკიდი ლამაზხედებიანი ნამუშევარი, ეს არის პროტესტი. შესაბამისად, პროტესტი ჰარმონიასა და ფსევდოღირებულებებთან უთანხმოებაში მოდის. არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა და არსებობს სხვადასხვა პროექციები, ღირებულებები, რომლებიც ხელოვნურად იქმნება. ის თავისთავად ცვლადია და მოკლებულია ძირეულ ადამიანურ ჰუმანურობას, თვისობრიობის გარეშე აბსტრაქტულად, სადღაც არსებული შეუქცევადი პროცესია, ეს არის რეალობის იმიტაციები, რომლებიც ტანსაცმელივით ერთ წელს მოდურია, მომდევნო წელს – მოძველებული. მიუხედავად მსგავსი რევოლუციური ქმედებებისა, საპროტესტო აქციებისა, რამდენიმე მასშტაბური გამოფენისა, ფაქტი ფაქტად რჩება – სახელოვნებო სამყარო ქალთა დისკრიმინაციას დღემდე აგრძელებს. სტატისტიკა-

ბი ცხადყოფს, რომ შედეგი ნამდვილად მოიტანა ფემინისტურმა წინარე სარჩულმა, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელად თუ არსებობს ინფორმაცია მათ შესახებ, ვინც შეძლო საზღვრების გარღვევა, ვისაც ამის ძალა შესწევდა. სხვა დანარჩენი ხელოვნები რჩებიან თავიანთ ხელოვნებასთან ერთად გაღვრებისა და მუზეუმებისგან კარმიკეტილები. ასე რომ, ჩვენ ბევრ საინტერესოს ვტოვებთ როგორც ხელოვნების მაცურებლები. ეს თავისთავად დიდი პრობლემაა როგორც გლობალურად სახელოვნებო სივრცისთვის, ასევე კონკრეტული ქვეყნისათვის. რეალობა არაადეკვატური და ბოროტია – ხელოვნებაში ქალებისთვის ადგილი თითქმის არ მოიძებნება.

Mariam Pridonashvili
Feminism in Art
Summary

